1901 /2 ს.ე. № III

მარტი 1901

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	შედარება (ლექსი)—ს. ბ. ...ისა	3
II	შაშვი (ამბავი)—ბაჩანასი	5
III	მხერხავი ლექსი—მარიამ ...ისა	8
IV	სად დაიკარგა საბედას სათითური—კახ-იმერლისა	15
V	ლედი ჯენ. შოთხრობა, გაკრძელება (თარგმანი)—ე. ...ისა	17
VI	წერო და ცხრა-ფეხა (თარგმანი)—ბეს. ...ისა	30
VII	ვინ იყო რაფიელ ერისთავი—შეტრე მიქანაშვილისა	36
VIII	მეფე დიმიტრი თავდადებული და გიორგი ბრწყინვალე—ი. ...ისა	42
IX	ჰეროდოტის თქმულება კიროსის დაბადების შესახებ—ს. ...ისა	46
X	აღდგომა (ლექსი)—შ. ...ისა	52
XI	ორი ჩიტი. პაპაზიანისა (თარგმანი)—ჭაბ. ...ისა	53
XII	გასართობი	60
XIII	წერილმანი: აკროსტიხები, რებუსი	62

თანხმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5944

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

ოზარდ, მწკანე ჯიჯილო.
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. ბ.

№ III

ფელიფადი მეთოდრამეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Марта 1901 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შედარება

ფუტკარმა თქვა: ჩემი თაფლი
და სანთელი ყველას უყვარს!..
მაგრამ მე კი მტრულის თვალით
ძიუურებენ!.. მიკეტენ კარს.

იმახიან: „მაგის ისარს
ვეკრძალოდეთ უნდა მარად!
თუმცა იციან, რომ ჩემ მახვილს,
მე არ ვხმარობ, თუ არ ფარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უისრო და უწინდურ—ბუსს
კი არავინ ერიდება!..
როგორც უნდა ისე დაფრენს,
სადაც უნდა, იქ დაჯდება!..

—

შენც ჰოეტო კაცთა შორის
ფუტკრათა სარ გაჩენილი;
ენა—ისარ—ნადვლიანსა,
ნაოფი გაქვს ნათელ—ტკბილი.

—

თუ შორსა სარ ფუტკარსავით
შენც გიშვერენ თაფლისთვის სელს,
მაგრამ როცა ახლოს გხედვენ
გიმწარებენ წუთისოფელს.

აკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა შ ვ ი.

ახსოვს, როცა პატარა ვიყავ, ადრე მიყვარდა ადგომა. როგორც მამალი საგათენებოს დაიძახებდა, ჩემი ლოგინი უკვე ცარიელი იყო და მე გამოგიმული ვიჯექ დედაჩემის ახლო, რომელმაც ძლიერ ადრე იცოდა ადგომა. როგორ მესიამოვნებოდა, როცა დიდ-ზამთრის ღამეში გამომელვიძებოდა და დედა ჩემის ტარის, ან საჩეწლის ჩქამი შემომესმოდა! ეს ხან ნანასავით ტკბილათ დამაძინებდა, ხან-კი გამიკრთობდა ძილს. მე წამოვსტებოდი და მოვუჯდებოდი დედას; ის მომცქედა ნაგულას და მეტყოდა: „დამირთე, შვილო, საფარდაგე, კაცმა უველაფერი უნდა იცოდესო“. მეც ავიღებდი მარჯვენა ხელში ტარს, მარცხენაში ნაგულას და დავუწყებდი რთვას დაიმედებული, რომ დედა ამ..ით არ გამითავებდა და მიამბობდა რასმე, ან ზღაპრებს ათასს მელის ოინებზე ან მეელის-ძეელ ამბებს ლეკებისგან ფშაველების დახოცვასა და ტყვეების წაყვანაზე. ზოგჯერ თვითონაც ტიროდა, მეც მატირებდა. მასწავლიდა სხვა-და-სხვა ლექსებს და სიმღერებს, რომელთაგან ახლაც ბევრნი ჩამრჩენ მეხსიერებაში. მერე, თუ ისევ დამეძინებოდა, დილით მაინც ადრე ამაყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ დილაზე, იმ დროს, როცა ახლათ მოსულმა წვიმამ დაგლიჯა მთებზე თოვლი და ბარში მზემ მაღლიდან გადმოაშუქა, მე არა ჩვეულებრივ გადავაჭარბე ძილს. დედა-ჩემი შემოვიდა და დამიძახა: „სირცხვილი არ არის მაგდენი გძინავს! რო იცოდე თენებაზე რამდენი ჩიტები გალობენ და აი სახლის იქით, რომ გორაზე დიდი რცხილაა, შაშვი მაზედ რა ტურფათ ჭსტვენს, ხომ მაგდენს არ დაიძინებდი. აბა დაუგდე ეური, აქაც შემოდის იმის მშვენიერი ხმა. მართლაც კარი შემოღებული იყო და შემოჭქონდა ნიავს მომღერლის ხმა. მე წამოვეყარდი და გამოვიჭერ გარეთ. ნისლიანი დილა იყო. შიშველი ტეე იმ ღამეს ცოტათ შეენამა. აქა-იქ კიდე თოვლის წერტილები მოჩანდა, ხოლო ტეეს ცოტა სიფხიზლის ფერი დასდებოდა, სახე შესცვლოდა. შაშვი ზედ რცხილის კენწეროზე დამჯდარიყო; გადმოჭსედავდა იქიდან გარეშემოს და უსტვენდა. ბევრ სხვა ჩიტებსაც დაეწყოთ გალობა. წიბრია წვიმას ეძახდა: „დაწვიმე, დაწვიმეო. სჩანდა, რომ ეველას რადაც უსარდა, რადასაც ელოდა. ჭო, მეც მიეხვდი, თუ რათ გალობდა ახლა შაშვი, რა დროც დაუდგა. აკი, როცა ტეე თოვლით იყო დაბარდული და გარშემო ეინვის და ქარ-ბუქის მეტი არაფერი იპოვებოდა, დამინახავს ეს შაშვი დათეთრებულ ხეთა ტოტებში მჯდომარე,—რატომ მაშინ-კი არ გალობდა?.. ის დადინებული, ფრთებ-ჩამოშვებული იჯდა ხოლმე, ხანდახან სიცივისგან გაკრიალებულ კუნელს, ან ასკილს თუ მისწვდებოდა. მაშინ თოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ბარდი ჭფარავდა მაგის შაოსან სახეს, ახლა ჟუჟუნა წვიმას შეენამა მისი შელეგაგებული ჰორფირი.

ამ დღიდან დილაობით მე მუდამ შაშვთან ვეცემოდი, რომელიც იქვე მ ჯ დომარე და მღერალი დამეხვდებოდა. ახ, რა მესიამოვნებოდა მაშინ მისი სვედიანი და მგრძნობიერი ხმები!

ერთხელ ავდექ და გავიხედე კარში. ახლა გაცინებული დამხვდა ბუნება. ფოთლები თხილებზე და ეკალეები ტეკილებზე გაბზინებულიეკენ, ჩდილები და სვე-ხუვები ამშრალიეკენ. მარტო მთის მწვერვალებზედ-და თეთრიკა თოვლი, უცებ ჭაერში რაღამაც იჯქა. გამოსულმა ქათმებმა სახლის წინ წიოკი იწყეს, შეფრთხენ და საბძლის ნაფოთლის ქვეშ შეიმალენ. მე მაღლა თვალი დამრჩა და დავიკვლე, კლანჭ-გაწვდილი და ნისკარტ-გაღებული ქორი რო დავინახე შაშვისადმი მიტეკებული. ის თავქვე დაეშვა და ჯაგში დამალვას ლამობდა; ქორი თან ჩაჭვეა. დანარჩენი დიდმა ტეკილებმა და თხილის ბონცვრებმა დამალეს, მსოლოთ შაშვის ტირილის და მეელის ხმა ისმოდა. „მგონია დაიჭირა წეელმა, აგერ ეური დეუგდ, როგორ გულ-საკლავათ დაიჭერიალაო, მითხრა დედამ: არიქა ვუშეელოთო, და ორნიგე ვეცით იქით; მაგრამ ვერც ქორი და ვერც შაშვი ვეღარ დავინახეთ.

მე დაჩეეულს დილ-დილ ბეკრჯელ გამისეენია ნაცნობი რცხილისაკენ, მაგრამ ცალიერი ხე-და დამხვედრია...

„აი იქით სადღაც გალობს შაშვიო“, მითხრეს, — იქნება იქ იოს ჩემი შაშვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხერხავი ლუკა.

გუძღვნი ნინო, თამრო და მარგალიტა ლასსიშვილებს.

ეკანასკნელი სხივები ჩამაეალი მზისა ათასფერათ აფერადებდა დედამიწას და აჭრელებულ ცის გუმბათთან ერთათ ლამაზ სურათს წარმოადგენდა.

საბრალო სალომეს ქოხს-კი მზის სხივები თავის დღეში არ ენახა. პატარა დაბალ და ბნელ ქოხში—დედა და შვილები ერთათ მოკრუნჩხულიყვენ და შუშების მაგიერ ტალალდ გაკრული ფანჯარა ოთახის სიბნელეს უფრო უმატებდა. სალომეს ოთახის მოწყობილებას შედგენდა: ერთი ტახტი, ორი პატარა სამფეხი სკამი, ნახევრათ თავ-გადაგლეჯილი კიდობანი, ერთი წყლის კოკა, პირ-მოტეხილი სურა, ეარცლი, ხონჩა და პატარა გობი.

სალომე ზოგს სარეცხს ურეცხდა, ზოგს საბნებს უკერავდა და იმითი ასაზრდოებდა თავის ხუთ ეაჟი-შვილს. მაგრამ აბა იმდენს რას იშოვიდა, თვითონ ხშირათ მშიერი მიდიოდა სამუშაოთ და საქმის გათავების შემდეგ, თუ კი სადმე გამხმარ, გამოუსადეგარს პურს ნახამდა, გაუბედავათ სთხოვდა ყველს: „ბატონო თუ თქვენთვის საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო აღარ არის, ეგ ნახორხლები მე მიბოძეთ, ჩემთვის ყველა გამოსადეგია.

სალომეს ერთ დღეს რეცხვის დროს ცერში ნემსი შეეჭო, ნემსი ზემოთ და ზემოთ წაუვიდა და რამდენისამე დღის შემდეგ ხელი სულ მთლათ დაუსივდა, კლაკვის აღებაც-კი უძნელდებოდა; სიცხის ძლევა დაუწყო და ლოგინათ ჩავარდა.

საცოდავ იმის შვილებს უკანასკნელი ლუკმაც მოესპოთ. თურმე სალომეს ცოტადენი კართოფილი ჰქონოდა შენახული და ორ კვირას, როგორც იყო იმითი იოლათ მიჰყავდა შვილები.

ტახტის ერთ მხარეს სალომე იწვა და მეორე მხარეს ავათმყოფი გიგლა (რომელსაც გვერდიდან განუწყვეტლივ ჩირქი სდიოდა); თვრამეტი წლის ბაბუკი სწორეთ ცხრა წლისას დამგზავსებოდა, ისე დაედნო ხანგრძლივ ავათმყოფობას.

— დედი, დედილო, ძალიან მშიან, გაიგონე ადამიანო, მშიან, მშიან-მეთქი; იძახდა შვიდი წლის შაქრო და თან საბანსა სწვედა და ანძრევდა დედას.

— დედი, აი დედი, მსიან, ცქალა პული მომეცი, შესტიროდა ოთხი წლის ილიკო და თან მდუღარე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ერთიც დედის ლოგინს პირქვე დამხობოდა და გულ-საკლავათ ღნაოდა.

— ოხ, დედიჯან, დაესუსტდი, ღონე სრულებით აღარა მაქვს. წამოიღლუღლუღა ავათმყოფმა გიგლამ,—ნეტავი ვინმე მაღლიანმა ერთი ჭიქა ჩაი მაინც მომაწოდოს. ამ სურათის მაყურებელ მშობელ დედას ცვეცხლი ეკიდებოდა გულზე.

— უფალო, დაილოცოს შენი სამართალი; განა იმიტომ გამაჩინე, რომ ჩემი შვილების შიმშილისაგან სიკვდილს თვალით ეუცქირო და მე-კი შემწეობის აღმოჩენა არ შემეძლოს? ამბობდა საბრალო დედა და თვალებზე მოგუბებულ ცრემლებს შვილების შეუმჩნეველათ სასწრაფოთ იწმენდდა.

— შვილო, ლექსო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მეტი ღონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ არის, გადი ქუჩაში, დადექ და იმათხოერე, ეგებ რამდენიმე გროში შეაგროეო, რომ პური მაინც ეიყიდოთ, თორემ ყველანი შიმშილით ამოეწყდებით. მიმართა დედამ თავის ათი წლის შვილს.

ლექსო მშვენიერი სახის ბიჭი იყო, ყოველაღ კარგი ზნის და დედის მორჩილი.

— არა დედი, რაც უნდა დაგვემართოს, მათხოერობა მე არ შეიძლია, სუყველა ერთ დღეს რომ დაეიხოცოთ, მაინც ხელს ეერავის გაეუშვერ, ფული მაჩუქეთ-მეთქი.

— მაშ ესე უმოწყალოთ უნდა დაერჩეთ? არა ადამიანის შვილმა არ იცის ჩვენი ესეთი გაჭირვება; წადი მეზობლებს მაინც შეატყობინე, რომ ორი კვირაა ლოგინით ჩავარდი და ყოველად უნუგეშოთ დაერჩით. ლაპარაკის დროს სალომე ეეღარ იტერდა დაგუბებულ ცრემლებს.

ლექსო რამდენსამე ხანს ჩაფიქრებული იდგა, ბოლოს დედის ცრემლებმა თითქო გამოაფხიზლოო, სასწრაფოთ კარში გავარდა. იმათ ახლო ერთი მოხუცებული დედაკაცი ცხოერობდა, რომელიც ყოველთვის სალომეს შვილებს ალერსიანათ ეექცეოდა ხოლმე.

— დიდედო, თუ შეიძლება ტილოს ტომარა მათხოვე! მოწყალებით მიმართა ლექსომ ბებერს. მოხუცმა მაშინვე გამოუტანა ტომარა. ლექსომ საჩქაროთ გამოართვა და ისე უცებ გაიქცა, რომ ბებერმა ხმის ამოღებაც ეეღარ მოასწრო.

ლექსომ მხერხავებთან მიირბინა — გულმოდგინეთ სთხოვა ნახერხი ეჩუქებინათ და თავისი შეეიწროებული მდგომარეობაც აუწერა.

— ახლა ძალიან გეიჭირს, რამდენიმე ტომარა ნახერხი მომეცით და შემდეგ საქმე გამაკეთებინეთ. ეხეეწებოდა ლექსო მხერხავებს.

— აბა, სულ წაიღე, რაც აქ ნახერხია, ჩვენ მაინც არა ვხმარობთ; შენ-კი რა უნდა გაგაკეთებინოთ, აბა, შენისთანა პატარა ბიჭი რა ჯაფას შესძლებს! უპასუხა მხერხავმა.

ლექსომ ნახერხით ტომარა საჩქაროთ აავსო, და იმ დღეს ექე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი შაურის ნახერხის გაყიდვა მოასწრო. ერთ კვირას ასე გაყიდული ნახერხის ფულით ასაზრდოებდა თავის ოჯახს.

მხერხავებმა ამ ერთი კვირის განმავლობაში ძალიან შეიყვარეს ლექსო. ის როგორც მივიდოდა მხერხავებთან ყველაფერს მიულაგ-მოულაგებდა, დაუგვიდა, ფიცრების გადატან-გადმოტანას შეელოდა და მერე მარჯვეთ ხერხსაც უწევდა; რამდენსამე ხანს შემდეგ მხერხავებ-მა უთხრეს ლექსოს.

— ლექსო, შენ ისეთი ყოჩაღი ბიჭი ხარ, რომ ჯაფის ფასი ეხ-ლა დღიურათ უნდა დაგინიშნოთ? ლექსოს გამხდარი და გაყვითლე-ბული სახე სიხარულით აენთო.

— აბა, გვითხარი დღე'ში რას დაგეჯერდები?

— რაც თქვენა გსურთ, უპასუხა ლექსომ.

— შე, პატარა კაცო, მოზდილ ბიჭზე ბევრსა გე'შველი, მაგრამ მოდი ჯერ-ჯერობით დღე'ში ექვსი შაური იკმარე და ყოველ საღამოს სახლში რომ წახვიდე რამდენსაც მოერიო ნახერხიც თან წაიღე ხოლ-მე. ლექსო, რასაკვირველია, სიხარულით დათანხმდა.

იმ საღამოს ლექსო, სახლში რომ ბრუნდებოდა დატვირთული ნახერხის ტომრით, შესასვენებლათ ერთი სახლის წინ, კიბეზე ჩა-მოჯდა. ბევრ ხანს საამოვნების ოცნებაში გარინდული, თვალებ გაშტერებული გაიყურებოდა. მშვენიერი თბილი საღამო იყო. ჩამაჟა-ლი მზე ჯერ კიდევ ცელქათ ეალერსებოდა დასავლეთს და გაბრწყინ-ებული თეთრი ღრუბლები ფიანდაზათ ეშლებოდენ დიდებულ მნა-თობს; ბედნიერსა და უბედურს, მდიდარს და ღარიბს, ყველას ერთ ფერათ ეტაცებდა ეს ბუნების დიადი სანახაობა. და აი, ლექსოც სრულიად მოჰკიბლა, მოაჯადოვა ამ მშვენიერმა სურათმა. ის კარგა ხანს იჯდა კიბეზე.

ხალხი ბუზიათ ირეოდა ქუჩაში. აგერ მუშებიც მიეშურე-ბიან სახლისაკენ. ლექსოსაც უეცრათ მოაგონდა, რომ უნდა წავიდეს და გაახაროს თავისი ღარიბი დედა... ის საჩქაროთ წამოხ-ტა, მოიდო ზურგზე ტომარა და ჩაფიქრებული გაუდგა გზას, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ოარიოდე ნაბიჯი არ გადუდგამს, რომ მისი ყურადღება პატარა პრეკეციალა საგანმა მოიპყრო: ლექსო საჩქაროთ დასწედა, აიღო და თუმნიანი ოქრო-კი გამოდგა... ლექსოს ბედნიერება იმ დღეს გაორკეცდა: იქ დღიური ჯაფის ფასი, აქ ნაპოვნი თუმანი, ღმერთო, რა ბედნიერია! თავის დედის სიამოვნებას რომ გაიფიქრებდა სიხარულის ქრუანტელი უელიდა ტანში. ფულს რომ სიხარულით ხელში ათამაშებდა და შინ ჯაედა, იმ დროს ერთმა კინტო ბიჭმა გამოურბინა, დაჭრა ხელი, გაგდებინა თუმნიანი და გაიტაცა. ლექსო მიეარდა ბიჭს და დიდი ჭიდაობა გაიმართა, ეიდრე პოლიციელმა არ გაშველა.

— შე მაწანწალა, ეს ფული ხომ ჩემია, ერთი საათია დაეეძებ და ახლა შენ გინდოდა წაგერთმა?

— ბიჭო, რასა ბოდავ, საიდან შენია, რამდენი ხანია მე აქა ეზიარ და მაგ ფულსა ვხედავ — უთხრა ლექსომ.

— ჩემია-მეთქი, ზიარების მადლმა, ყეიროდა მედუქნის ბიჭი!

პოლიციელმა ორიეე ბოქაულისაკენ გაირეკა, ლექსო შიშისაგან კანკალებდა:

— მე არა მინდა-რა ოღონდ ჩემი ნახერხის ტომარა მამეცით და სახლში გამიშვით, იხვეწებოდა ლექსო.

— არა, საძაგელო, ახლა ხელიდან ეელარ წამიხეალ, გინდოდა სხვისი ფული მოგეტაცა! არ შეიძლება, ბოქაულთან უნდა წამოხვიდე. უყეიროდა პოლიციელი და თან ლექსოს კისერში სცემდა. ბოქაულთან რომ მოიყვანეს ბავშვები, აქ ერთი ხანში შესული კარგათ ჩაცმული კაცი იჯდა, რომელსაც ლექსოს სახე ისე მოეწონა, რომ თვალს აღარ აშორებდა.

ბოქაულმა ის მედუქნე დაიბარა, რომელიც შაგირდმა თავის აღათ დასახელა. შაგირდს-კი ფერი ყეითლათ და წითლათ ეცვლებოდა. ბოქაული ღიმილით მიუბრუნდა ლექსოს და ალერსიანათ უთხრა:

— შეილო, რა გაკანკალებს, ხომ არ შეგეშინ! დადე ეგ ტომარა და დალაგებით მიამბე, როგორ იპოეე ეს ფული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალა ეამბობ, ზიარების მადლმა, მე არაფისათვის არ წამირთმეფია, ქუჩაში ეიპოვე, ეერც კი გაეიგე საიდან მომეპარა ეს ბიჭი; ხელი დამკრა, გამაგდებინა ფული და თითონ აიტაცა.

— შენ რაღას იტყეი, ბიჭო? ჰკითხა ბოქაულმა მედუქნის ბიჭსა. ბიჭმა ურცხვად მიუგო:

— ზიარების მადლმა, ეგ თუმანი ჩემმა ხაზეინმა სხვასთან გამატანა. ამ ლაპარაკის დროს მედუქნეც შემოიყვანა პოლიციელმა.

— მართლა ეს თუმანი აძ ბიჭს შენ გაატანე სხვასთან! მკაცრათა ჰკითხა ბოქაულმა მედუქნეს.

— ბატონო, რას მიბძანებთ, მე მაგ ბიჭთან რა საქმე მაქეს, ეგ ჩემ დუქანში არ გახლაეთ. ეგ გახლაეთ მახლობელ დუქანში ცოტაიასთან, მაგრამ ისეთი საძაგელი, გაფუქებული და ცუღლუტია, რომ მაგას ერთ კაპეიკსაც არ ანდობს თაეისი ხაზეინი.

ლექსოს მშეენიერი თვალები სიამოვნებით უფრო გაფართოვდენ. თაეის დაკლეჯილ ტანისამოსში ლექსო ისეთი საცოდაეი სანახაეი იყო, რომ ბოქაული და უცხო კაცი გაშტერებულნი სიბრალულით შეჰყურებდენ მას. ლექსომ მათ დაწერილებით უამბო თაეისი თაეგადასაეალი. ბოლოს უცხო კაცი მიუბრუნდა ბოქაულს და უთხრა:— ნუ თუ ამისი ტანისამოსი და ჭკეიანი თვალები არ ამტკიცებენ ამ ბავშეის სიმართლეს.

ერთ საათს შემდეგ ჩეენი ლექსო მიფრინავდა სახლისაკენ და მაგრათ დამუჭულ თუმნიანს სიხარულით მიარბეენებდა.

— აი დედილო, რა მოგიტანე, გზაზე ეიპოვე! როგორც ეს სიტყვები გაათავა—უცხო კაციც მათ ოთახში გაჩნდა, ის თურმე ლექსოს შეეშჩნეელათ ფეხ-და-ფეხ მი'ყოლოდა.

რამდენსამე წამს ყველანი ამ კაცს გაკეირებულნი უყურებდენ. სტუმარს ოთახის საშინელმა სურათმა პირველათ თითქო ენა ჩაუდო, მაგრამ შემდეგ ისეე იმანეე უამბო ლექსოს დედას, როგორ იპოეა ლექსომ თუმნიანი და თან დაუმატა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ, ჩემო კარგო ბიჭო, რაკი ამისთანა გონიერი ხარ, მე ეკისრულობ შენს აღზრდას.

რამდენსამე ხანს შემდეგ ლექსო მშვენიერათ გამოწყობილი სასწაულებელში დადიოდა. ის ისე გულმოდგინეთ სწაველობდა, რომ ყველა მასწაველებლების ყურადღება დაიმსახურა. მისი მფარველი კაცი უშვილო იყო, ბევრს ეხვეწა, რომ ლექსო მასთან გადასულიყო, მაგრამ ის თავის დედას და ძმებს არ შორდებოდა. მალე იმათი ცხოვრება შეიცვალა, უფროსი ძმა საგათქყოფოში მიიღეს და ლექსოს ბეჯითი შრომით ამათ ისე წაიყვანეს საქმე, რომ დასახლდენ ორ სუფთა ოთახში და ბედნიერათ სცხოვრებდენ.

ძარიან დეფურიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დაიკარგა საბედას სათითური?

ა საშინელ მწუხარებაშია საწყალი საბედ! მას სადღაც დაეკარგა მშვენიერი სათითური, რომელიც გუშინ დედამ აჩუქა. დედა უწყრება და დაჟინებით ეუბნება, სათითური უთუოთ მონახეო. საბრალო გოგონა ეველგან დაეძებს; კარგათ ახსოვს, რომ დღეს დილას მან სათითური ფანჯარაზე დასტოვა. მართალია ფანჯარა დია იყო, მაგრამ ფანჯრის ფიცარი სომ ფართეა და სათითური როგორ გადავარდებოდა!

საბედამ ფანჯრის ახლო მინდორშიაც ბევრი ეძება, მთელი მიდამო სულ გადაჩიჩქნა, მაგრამ ვერსად იპოვა.

გავიდა ორი კვირა... საბედას დედოფალს საკაბე შეუკერავი უგდია; დედა აღარ ამლევს მას არც მაკრატელს, არც ნემსს და თან ეუბნება: რომ ძოგცე, დაკარგავო.

ერთხელ გადიამ საბედა მახლობელ ტყეში სასეირნოთ წაიყვანა; ტყეში სიარულის დროს ნეკერჩხალზე კაჭკაჭის ბუდე დაინახა. ბუდიდან ბარტყები თავებსა ჭეოფდენ, ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე დიდი და თავსახურიანი იყო. საბედან ძლიერ მოუნდა უფრო ახლო ენახა ბარტყები და ხეზე აფორთხა.

წარმოიდგინეთ მ.სი გაკვირვება: ბუდეში მან თაკისი სათითური დაინახა. გახარებულმა სტაცა ხელი სათითურს და დედას მიურბენინა. დედამ აუხსნა, რომ კაჭკაჭებს ბრწყინვალე ნივთების მოტაცება ძლიერ უყვართო.

კახ-იმრელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЗЯ+I.

ლედი ჯენ.

(ჯენმისონის მოთხრობა)

თითქმის ნახევარ საათს არ დანძრეულა ქოზენი ერთი ადგილიდან იმ ფიქრებში გართული, თუ რა მოელოდა მის აეთმყოფ სტუმარს, აეთმყოფობა თუ ნამეტანი გაგრძელდებოდა.

— თუ აქ დაეტოვებ, ჩემთან, და გულმოდგინეთ მოეუფელი,— ფიქრობდა ის,— რასაკვირველია, კარგათ დამასაჩუქრებს; ჩემი აზრით, ბევრათ უფრო სასიამოვნოა აეთმყოფის მოვლა, ვიდრე გაამპარტავნებული ქალბატონებისთვის არშიების რეცხა. ამ ქალს მგონი ცხელება ეწყება, ახლაე ეტყობა, რომ დიდხანს ვერ მორჩება... ცოდვაც არის ახლა მაგისი სახლიდან გაგდება, საეთმყოფოში წათრევა... თუ გაწყრა ღმერთი და მოკვდა—მე რა დამაკლდება, ყველაფერ ხარჯს მაგისიე ფულები დაფარავს, ეგერ, როგორი გატენილი პორტმონე აქვს! ოღონდ ფრთხილათ-კი უნდა ეყოო... ექიმიც უნდა მოვიყვანო, თუ არა მერე იქნება გამამტყუნონ, კარგათ არ მოგივლიაო... აი, რას ვიზამ, თუ ხვალისთვის უკეთ არ გახდა— ექიმ დებროს მოვიყვან; ისე ცოტა აეთმყოფები ჰყავს, რომ სიამოვნებით მოირბენს... და სიბერისაგან ისე გამოჩურჩუტებულია, რომ არც კი არაფერს მკითხავს აეთმყოფის ჩემთან ყოფნის შესახებ... ახალგაზდობაში-კი კარგი ექიმი ყოფილაო, ამბობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენსამე ხანს შემდეგ ქოზენი აიკანზე გამოვიდა და იქ დაუწყო ლოდინი თავის შვილს. სულ უარესი და უარესი ფიქრები უტრიალებდა მას თავში; გატეხილი პორტმონე და მშვენიერი ეერცხლის ნივთები, რომლებიც ახალგაზდა ქალის სამგზავრო ჩანთაში ნახა—მას მოსვენებას არ აძლევდენ; ფულები და სიმდიდრე—ერთათ-ერთი მიზანი იყო მისი ცხოვრების; შრომა მას არ უყვარდა, სხვის წინაშე თავის დამცირება სიღარიბის გამო—ჭირივით ეზარებოდა; რა ბედნიერი იქნებოდა ქოზენი, რომ გამდიდრებულიყო და შეძლებოდა იმ ამპარტავანი ქალბატონისთვის, რომელმაც გარეცხილი არშიები დაუწუნა, ამაყათ ეთქვა: „ვისაც გინდათ მიეცით თქვენი არშიები, მე იმათი რეცხის თავი არა მაქვსო!“ რა ბედნიერი იქნებოდა ქოზენი, უცებ რომ ბევრი, ბევრი ფულის პატრონი გამხდარიყო! რასტი ყოჩაღია! თუ ფული ჩაიგდო ხელში—მაშინვე რამე სარგებლიან საქმეს დაადგება!

უცებ ოთახიდან ავათმყოფის კვნესა მოისმა, მერე ისევ მიყუჩდა ყველაფერი. ქოზენი უნებლიეთ შეკრთა, მას მოეჩვენა, რომ ვინმემ მიუყურა და გაიგო, რა ფიქრებიც ტრიალებდა მის თავში, მაგრამ ერთ წამს იქით ისევ დამშვიდდა და ისევ განაგრძო იმავე საგანზე ფიქრი.—ეჰ! მგონი, საჭიროც არ არის, რომ რასტს ყველაფერი გავაგებინო!—უცებ გაუელვა მას გულში.—დამალულ პორტმონეზე და ეერცხლეულზე არაფერს ვეტყვი, ჩანთაში ნაპოვნ რკინისგზის ბილეთებს, ბარგის მისაღებ კვიტანციებს, ბანკის ბილეთებს და წერილ ფულს-კი—ვაჩვენებო!—გადაწყვეტა ბოლოს მან.

სწორედ ამ დროს მოისმა ფეხის ხმა; ედრასტი მხიარული სიმღერის ღიღინით ბრუნდებოდა სახლში. ქოზენი წამოხტა ადგილიდან და კოჭლობით გაექანა შვილის შესახვედრათ, შეეშინდა, ხმაურობაზე ავათმყოფს არ გაღვიძებოდა.

ედრასტი მაღალი და ფართე მხარ-ბეჭიანი, წითელ-თმიანი, შავთვალა ყმაწვილი იყო, ყოველთვის ძალიან კარგათ და კოპწიათ ჩაცმული. შეხედულობაზე ეტყობოდა, რომ ჭკვიანი, მარჯვე და დაკვირ-

ეებული ადამიანი უნდა ყოფილიყო. დედა მისი ყოველთვის ამბობდა, როსტი მამასაეით ეშმაკი და გაიძეერაა, ამიტომ მისი ნდობა საფთხილო არისო.

შეილმა მაშინეე შენიშნა, რომ დედა მისი აღელეებული იყო და მიხედა, რომ რაღაც მოხდარიყო, მით უფრო, რომ დედის მის შესახეედრათ გამოქცეა—უჩეეულო ამბაეი იყო.

— დედა, რა დაგემართა?—შეეკითხა ის.

— ნუ ჰკეირი, რასტ, ნელა ილაპარაკე! დაჯექი აგერ, კიბეზე, და ყეელაფერს გიამბობ.

და დედამ მოკლეთ უამბო მგზაერების მის სახლში მოსელა და ახალგაზდა ქალის ღეცარი აეათმყოფობა.

— მაშ ახლა ჩეენსას არიან, იქ?—ჰკითხა ედრასტმა და თაეისი სკელი თითი ოთახისკენ მიაშეირა.—მშეენიერებაა, რაღა თქმა უნდა! დაგიხეეია თაეზე აეათმყოფი, და ისიც პატარა შეილით!

— აბა რა მექნა?—გაცხარდა ქოზენი.—ქუჩაში ხომ ეერ გაეგდებდი აეათმყოფ ქალს, მერე ღამეში? დიდი რამეა, ერთი ღამით თუ ჩემი ლოგინი ეთხოეე!

— ეინ არის, როგორია? იქნება მათხოეარია? ბარგი აქეს რამე? ფული ხომ არ შეგინიშნაეს?—ცნობის მოყეარეობით დაუწყო კითხეა ედრასტმა.

— ოჰ, ღმერთო, რასტ, რასტ,—წამოიძახა ქოზენმა.—მე რა ეიცი! ჯიბეებს ხომ ეერ დაეუშინჯაედი? ეიცი მხოლოთ, რომ ორიეე მშეენიერათ არიან ჩაცმული, ახალგაზდა ქალს ძეირფასი საათი და ძეწკეი აქეს, სამგზაერო ჩანთაში-კი რამდენიმე ეერცხლის ნიეთს მოეკარი თეალი.

— ოჰ, რა მიხარია!—გამხიარულდა ედრასტი,—ეტყობა, მდიდრები ყოფილან... მაშ ხეალ, წასელას რომ დააპირებენ, უთუოთ ხუთ დოლლარზე *) ნაკლებს არ დაგიტოეებენ?

*) დოლლარი ორი მანეთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა მგონია, რომ ხვალ წასვლა მოახერხონ, დარწმუნებული ვარ, რომ დიდ ხანს ვერ წამოდგება ლოგინიდან საწყალი ახალგაზდა ქალი. თუ ხვალ უკეთ არ გახდა—წადი და ექიმი დებრო მოიყვანე.

— რისთვის? აეთმყოფს აქ ხომ ვერ დაიტოვებ, საავეთმყოფოში უნდა გაგზავნო. არც გვარი იცი მისი და არც სახელი, არც ის, საიდან მოდის და არც ის, სად მიდის... ხელში რომ შემოგაკვდეს—რაღას აპირებ?

— თუ ეუწამლე და მოეუარე, ის-კი მაინც მოკვდა—ჩემი რა ბრალი იქნება? დაეკითხა ქოზენი შვილს.—მაშინ ნება მექნება მის ქონებას მე დავეპატრონო.

— საკმარისია-კი მისი ქონება, რომ შრომისთვის შესაფერი ჯილდო დაგრჩეს?--ჰკითხა რასტმა და უცებ ღიმილით სტკენა დაიწყო.—ეჰ, დედა ჩემო, ეშმაკი ქალი-კი ხარ, მაგრამ მე მაინც კარგათ მიგიხვდი, რასაც აპირებ!

— არ მესმის, რისი თქმა გინდა!—გაცხარებით წამოიძახა ქოზენმა.—რა არის აქ მისახვედრი? რასაკვირველია, თუ აეთმყოფს მოვუვლი, თუ მისი გულისთვის თავს შევიყიწროებ—უფლება მაქვს ჯილდოც მოვითხოვო. საავეთმყოფოში მისი მიცემა-კი არ მინდა, რადგანაც ძალიან მებრალება.

— ასრულე, ასრულე, დეჯილო, ყველაფერი, რაც გადაგიწყვეტია... ეს კია, რომ მებრალება, ძალიან მებრალება საცოდავი ახალგაზდა ქალი!—ღიმილით დაათავა მან.

დედამ ალარაფერი უპასუხა და ერთ ხანს ორივე ჩუმათ იჯდენ.

— ფული ხომ არ მოგიტანია?—უცებ მიუბრუნდა ქოზენი შვილს.—ეხშამი არ მიჭამია... არ შეიძლება, რომ ყველი და პური იყიდო?

— ფული ხომ არ მომიტანია? აი, თუ არა!—უპასუხა ედრასტმა და ჯიბიდან ერთი მუჭი ვერცხლის ფული ამოიღო.—აი, რამდენი მოვიტანე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ საათს შემდეგ ქოზენი და მისი ეაჟი მხიარულათ ეახშმობდენ სამზარეულოში.

ავათმყოფ ქალს და მის პატარა შვილს მოსვენებით ეძინათ თავის ოთახში.

III

შკანასკნელი დღეები მრეტნაში.

ეორე დილას ახალგაზდა ქალი ისევ ისე უგრძნობლათ იყო, შუბლი ისეთი ცხელი ჰქონდა, რომ ადამიანს ხელს სწვამდა, ლოყები მთლათ ანთებოდა; ეტყობოდა, რომ საშიშ მდგომარეობაში იყო. ქოზენმა ედრასტი დებროს მოსაყვანათ გაგზავნა, მაგრამ ექიმზე წასვლამდის ორიეე დედა-შვილმა ახალგაზდა ქალის სამგზაერო ჩანთა სამზარეულოში შეათრიეს და გულმოდგინეთ გაჩხრიკეს. საცვალი, ბილეთები, კვიტანციები—ყველაფერი რიგზე იყო ჩალაგებული, მაგრამ არსად ჩნდა არც რაიმე წერილი, არც სურათები, არც ანგარიშები... მხოლოთ საცვალზე და ეერცხლის ნიეთებზე დაწერილი ასოები „ჯ“ და „ჩ“, ამტკიცებდენ, რომ ყველაფერი, რაც ჩანთაში იყო—ერთსა-და იმავე პირს ეკუთვნოდა.

— არ ჯობს, რომ ახლავე წავიღო თან კვიტანციები და მათი ბარგი გამოვიტანო?—ჰკითხა ედრასტმა დედას, აიღო მართლაც ქალალდები და ჯიბეში ჩაიდვა.—თუ ქალი გამოერკვევა—უთხარი, რომ საცვალი ან ტანისამოსი დაჭირდა და ჩვენ იძულებული გავხდით მათი ხანდუკები გამოგვეტანა. ასე ექნა, არა?—ეშმაკური ღიმილით ჩაჰკითხა შვილმა ქოზენს, ქოზენმა-კი არაფერი უპასუხა, ისევ დაკეტა ჩანთა და დაჩქარება დაუწყო შვილს.

— ჩქარა, ჩქარა წადი და მალე მოიყვანე ექიმი! ლედი ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავათ არის. მეშინია, პატარა ქალმაც არ გაიღვიძოს და ტირილი არ მოართოს!

ედრასტი გაჰქანდა ბორანისაკენ.

ექიმი დებრო მართლაც სულ გამოჩერჩეტებული იყო. ავათმყოფის დათვალიერებას შემდეგ გამოაცხადა, საშიში ამის მდგომარეობაში არაფერში არისო. ქოზენმა დაარწმუნა, ეს ჩემი ნათესავი ქალია და ტეხასიდან მესტუმრაო.

— ციცება აქვს, სხვა არაფერი! —არწმუნებდა თავისი მხრით დებრო. — დიდ ხანს ლოგინში წოლა არ დაჰირდება, კრიზისი მალე იქნება. ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ მალე მოვარჩინო. თქვენც კი მოელა იცით ავათმყოფის, ამაში მე ხოლერობის დროს დავერწმუნდი.

ამას შემდეგ მან გამოუწერა ახალგაზდა ქალს წამალი და მისცა ქოზენს. რამდენიმე დარიგება, თან სიყვარულით ხელის სმა დაუწყო თავზე პატარა ჯენს, რომელსაც გაღვიძებოდა და თავისი დიდი, ცისფერი თვალები დედისთვის მიეპყრო.

ექიმი რომ წავიდა, ქოზენის სახლს დიდი ხმაურობით მიუახლოდდა დროგი, რომელზედაც ორი ვეებერთელა ზანდუკი იდვა. მედროგეს დახმარებით ედრასტმა ორივე საწოლ ოთახის გვერდით, პატარა ოთახში შეიტანა. ძვირფასი ზანდუკები ძალიან ირჩეოდენ ყველა დანარჩენი საგნებისაგან, რომლებიც-კი ოთახში იმყოფებოდა.

ავათმყოფი რომ მოკვდეს—როგორ უნდა მოვიხმაროთ ამდენი ნივთები?—გაუელო თავში ქოზენს.

დროგი წავიდა; სახლის მწვანე კარი მიაკეტა—და თითქო საუდამოთ დამალა და გააქრო მთელი დანარჩენი ქვეყნისთვის საცოდავი ახალგაზდა ქალის და მისი პატარა შვილის კვალი.

ექიმი დებრო ხშირათ დადიოდა და ყოველთვის უფრო და უფრო გულდაწყვეტილი ბრუნდებოდა შინ; ახლა იმანაც შეატყო, რომ ახალგაზდა ქალის მდგომარეობა უიმედო იყო და გული ეწვოდა, პატარა ჯენს რომ უყურებდა. გამხდარი, გაყვითლებული და დაღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული ბაღში მთელი დღეობით ხმა-ამოუღებლათ იჯდა ლოგინზე, დედის გვერდით, გამოუთქმელი ტანჯვით დიდ ცისფერ თვალებში, მთელ პატარა, ლამაზ სახეზე. ყოველი მისი შეხედვა გულს უკლავდა კეთილ მოხუც ექიმს და ის ყოველთვის არწმუნებდა ბაღშს, დედა შენი მალე მორჩებაო. ბაღშსაც საშინლათ უსაროდა მისი მოსვლა და ყოველთვის მოუთმენლათ მოელოდა მას.

ქოზენი გულმოდგინეთ უყვიდა როგორც ახალგაზდა დედას, ისე მის პატარა ქალსაც და თითონვე ძალიან აღტაცებული იყო თავისი ასეთი უანგარო ქცევით.

— აბა ვინ იზამდა სხვა ჩემ ადგილას ამას?—ხშირათ დაეკითხებოდა ხოლმე ის თავის შვილს.—ვინ მოუვლიდა ასე ან დედას და ან შვილს? თითქო ჩემიანები იყვენ—ისე შემიყვარდენ! ერთათ ერთი ჩემში იპოვეს საწყლებმა ნუგეში და დახმარება!

ამნაირი სიტყვებით ქოზენი ცდილობდა თავისი თავიცკი დაერწმუნებინა იმაში, რომ მართლა უანგაროთ იქცეოდა.

გავიდა თორმეტი დღე მას შემდეგ, რაც ჯენი და დედამისი გრეტნაში მოვიდენ და აი, ერთ დილას, ქოზენის სახლიდან ბორანისკენ მიცვალებულის კუბოს მიასვენებდენ. ყველა ცნობის-მოყვარეობით ათვალიერებდა კარგათ მორთულ ედრასტს, რომელიც ექიმ დებროსთან ერთათ ეტლში იჯდა და კუბოს უკან მიჰყვებოდა.

— ტეხასელ ქალს მარხავენ, ქოზენის ნათესავს. ამას წინეთ სტუმრათ ჩამოვიდა ქოზენთან—და გუშინ გადაიცვალა, საწყალი!—ლაპარაკობდენ ხალხში.—პატარა ქალი ჰყავს; წუხელი ისიც ავათ გამხდარა, უკრძნობლათ არის, თურმე; ქოზენი უელის, მიტომ არ ესწრება დასაფლავებას. იმათსას მისვლა ახლა საშიშიც არის, ექიმი დებრო ამბობს, ეს ავათმყოფობა გადამდებიაო.

სასაფლაოზე ქოზენის დედის ოჯახს საკუთარი ადგილი ჰქონდა და ახალგაზდა ქალი იქ დასაფლავეს, მისთვის სრულიად უცხო ადამიანებს შორის.

ედრასტი რომ შინ დაბრუნდა—დედა მისი საქანაო სკამზე იჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლოგინის გვერდით, ლოგინში-კი უგრძნობლათ იწვა პატარა „ლედი ჯენი“; მისი ოქროსფერი თმა ლამაზათ გაბნეულიყო ბალიშზე და შემოხვეოდა გარს ანთებულ ლოყებიან და ღრმათ ჩაეარდნილ თვალებიან პატარა ლამაზ სახეს; ცხადი იყო, რომ ბავშვ დედისგან სახადი გადასდებოდა.

მთლათ შაებში მორთული ქოზენი კარებშიე მიეგება შვილს და ტირილით უთხრა:

— შვილო, შვილო, როგორ დაეისაჯეთ ჩვენი კეთილი გულის გამო! თავგანწირულათ ეუელიდი უცხო ახალგაზდა ქალს, არაფერს არ ეზოგავდი მისთვის, მოკედა—ჩემ სასაფლაოზე დამარხე—და აი, ახლა მისი შვილიც აეათ ხდება! დებრო ამბობს, რომ ეს აეათყოფობა გადამდებია, ახლა ჩენც გადაკეედება და მოკეედებით!

— არაფერია, დედილო, ნუ გეშინია! დებრომ უთუოთ არც-კი იცის, რა აეათყოფობაა ეგ, ისე ლაპარაკობს!—გულგრილათ უპასუხა ედრასტმა.—ყველაფერს ეჯობინება, რომ უცხო არაეინ შემოეუშეათ სახლში... არც არაეინ მოეა, ყველას შეეშინდება, ჩენც არ გადაკეედესო. მე დროებით ქალაქში გადაესახლდები, შენ-კი არაფერი გადაგიდება. გავა რამდენიმე დღე, ენახოთ, მოკედება თუ მორჩება ბავშ—და მერე გადაეიდეთ სადმე სხეაგან და იქ მოეეწყოთ საცხოერებლათ.

— კარგი, შვილო!—დაეთანხმა ქოზენი და დამშეიდებით თეალებზე ცრემლები მოიწმინდა.—არაეის არა აქეს ნება თქეას, რომ მე აეათყოფს რამე დაეაკლე; ახლა-კი, სანამ ძალ-ღონე შემწეეს, მის შვილსაც ისე მოეუელი. ძნელია, რასაკვირველია, ასეთ სიცხეში სულ ოთახში ჯდომა, მაგრამ რა გაეწყობა! ერთი მხრით კარგიცაა, ბავშმა რომ გრძნობა დაკარგა, გული მიკედებოდა, მაგის მწუხარებას და სასოწარკეეთილებას რომ ეუყურებდი! საწყალი, საწყალი ახალგაზდა ქალი! ისეთი ლამაზი, მშეენიერი... საშინელებაა უცხო ქეეყანაში სიკედილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

პ ე პ ს ი

ეთილი ბავშვების“ ქუჩაზე მცხოვრებლები ყველა კარგათ იცნობდენ პეპსის და იმის დედას, მადელონს, რომელიც ძალიან პატივსაცემ ქალათ ითვლებოდა თავის მეზობლებს შორის. დედა ტ შვილი იდგენ ერთ პატარა, ლამაზ სახლში, რომლის ერთათ ერთი დიდი ფანჯარა ქუჩას გადაჰყურებდა; ფანჯარა ისე დაბლა იყო, რომ ქუჩაში გამვლელს ადვილათ შეეძლო შიგ შეეხედნა და ოთახი დაეთვალიერებინა; ოთახის ერთი კუთხე ეკავა დიდ ლოგინს, რომელიც ლამაზათ იყო მორთული წითელი ფარდებით და არშიების ბალიშის პირებით; ლოგინის პირდაპირ მოჩანდა ბუხარი, რომელზედაც იდგა საათი, ქაღალდისაგან გაკეთებული ვარდებით სავსე ორი ვაზა, ცისფერი სურა და თიხის თუთიყუში.

ამ ოთახს იქით იყო პატარა სამზარეულო და პატარა ეზო, სადაც მადელონი ყოველ დღე ამზადებდა გასაყიდათ ტკბილ შაქრის პურებს და შემწვარ, დაშაქრულ ნუშს, და სადაც „პატარა თაგუნა“, მოსამსახურე ზანგის პატარა ქალი, მთელი დილა მუშაობაში, რეცხაში, წმენდაში და სადილის მზადებაში იყო გართული. მადელონი ტკბილეულობის კეთებით და ყიდვით ირჩენდა თავს; თავის სახლიდან ცოტა მოშორებით მას ჰქონდა პატარა კარავი, რომელშიაც ის ლამაზათ დაწყობდა ხოლმე დახლზე დაშაქრულ ნიგვზებს, შემწვარ ნუშს და ტკბილ შაქრის პურებს. ყოველ დილა მიდიოდა მადელონი თავის კარავში ტკბილეულობით სავსე კალათით—და ყოველ საღამოს ბრუნდებოდა დაცარიელებულით, მისი ერთათ-ერთი საყვარელი შვილი, პეპსი-კი, მთელი დღეობით დიდ საყარძელში იჯდა, დიდ ფანჯარას გვერდით; პეპსი კუტი იყო, სიარული სულ არ შეეძლო, ამიტომ ერთათ-ერთ მის სიამოვნებას შეადგენდა ფანჯარაში ყურება და გამვლელ-გამომვლელების თვალის დევნება. ყველა იც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობდა პეპსის, ყველა ხელაედა ყოველ დღე ფანჯარის უკან მის მოგრძო, ფერმკრთალ სახეს, ბრწყინვალე შავ-თვალებს, სქელ შავ თმას, ზეეთ ლამაზათ აბარცხნილს და დაგრეხილს. პეპსის ნამეტანი დიდი თავი და ზეეთ აწეული, ეიწრო, მოღუნული მხრები ჰქონდა.

მაგრამ ფანჯარასთან ჯდომის დროს პეპსი უსაქმოთ ერთ წამსაც არ იყო; მის წინ, სტოლზე, ყოველთვის ნუშის და ნიგვზის დიდი გროვები იყო; ის ანტერეედა ნიგვზებს, ფცქვნიდა ნუშს და ორიეეს გულებს სამ ჯგუფათ ჰყოფდა; პირველ ჯგუფში ის აგროეებდა მთელ-მთელ და კარგ ნიგოზს და ნუშს, მეორეში — კარგებს, მაგრამ დანტერეულებს, მესამეში-კი—უეარგისებს. პირველიდან მადელონი დაშაქრულ კამფეტებს აკეთებდა, მეორეებს—სწეამდა და ისე ჰყიდდა, დანარჩენებს-კი მიჰყიდიდა ხოლმე ტკბილეულობის სხვა ეაპრებს, რომ ლებიც მაზე ნაკლები პატიოსანი იყვენ.

ამნეირათ პეპსი მთელი დღეობით მუშაობდა, მაგრამ იმავე დროს ყველა გამელელ-გამომელელებს თვალს ადეენებდა, ზოგ მათგანს ემუსაიფებოდა, ზოგს უღიმოდა, ზოგს მხოლოთ თავს უკრაედა; მას ყოველთვის ისეთი ბედნიერი და კმაყოფილი სახე ჰქონდა, ისეთი კეთილი ღიმილით ელაპარაკებოდა ყველას, რომ ის ყველას უყვარდა და ყველა სიამოვნებით ჩერდებოდა მის ფანჯარასთან, რომ ერთი-ორი სიტყვა მაინც ეთქვა მისთვის. განსაკუთრებით ხშირათ იდგენ ხოლმე მის ფანჯარასთან პატარა ბაეშვები, თუმცა პეპსი მათ არაოდეს ტკბილეულობას არ აძლეედა; მან კარგათ იცოდა, რომ ტკბილეულობა ფულათ ღირდა და რომ მარტო ამ ნიგზებში და ნუშებში მოგებული ფულით ცხოვრობდენ ის და დედა მისი. ბაეშებიც არაოდეს არაფერს არ ითხოვდენ; ისინი სრული კმაყოფილი იყვენ მარტო იმითიც, რომ ცნობის მოყვარეობით თვალს ადეენებდენ მის მუშაობას და აღტაცებაში მოდიოდენ პეპსის ხელების და თითების სიმარდით. განსაკუთრებით უყვარდათ იმათ იმის ყურება, თუ როგორ ჩაყრიდა ხოლმე პეპსი გარჩეულ კარგ ნიგოზს და ნუშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელ, ახლათ აღულებულ, ტკბილ სიროპში, რომელიც წინ ედგა ხოლმე ღრმა ფაიფურის ჯამით. თითქო რაღაც ჯადოაო, ჯამიდან ცარიელი ნიგვზის და ნუშის მაგიერათ მშვენიერი კამფეტები

ამოდიოდა; პეპსი მათ მართულზე ააცვამდა ხოლმე და გასაშრობათ თეთრი ქაღალდის დიდ ფურცლებზე დააწყობდა. ერთ საათში პეპსის წინ აუარებელი ტკბილეულობა დაგროვდებოდა ხოლმე... ბინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისას ოთახში „პატარა თაგუნაც“ შემოეიდოდა და დაკარიელებულ ჯამს სამზარეულოში გაიტანდა.

პეპსი გადათელიდა დამზადებულ კამფეტებს, ჩაიწერდა ქაღალდზე მათ რიცხეს და გაატანდა შესანახად თაგუნას.

ერთ საქმეს რომ გათავებდა, პეპსი ‘ეორეს მოჰკიდებდა ხელს. სტოლის უჯრიდან ის ამოიღებდა ხოლმე ლოცვანს, რამე ხელსაქნარს და სათამაშო ქაღალდს. ლოცვებს პეპსი დღეში რამდენჯერმე კითხულობდა, რადგანაც ძალიან ღვთის მოყვარე იყო. ლოცვის შემდეგ ის კერეას მიჰყოფდა ხელს, მერე-კი, როცა დაიღალებოდა, სათამაშო ქაღალდს ჰკიდებდა ხელს და პასიანსს აწყობდა; პასიანსის დაწყობა მისთვის საუკეთესო სიამოვნება და დროს გატარება იყო; განსაკუთრებით ეზალისებოდა მას რისამე ჩთქმა; ჩაუთქვამდა ხოლმე, ასრულდება თუ არა ესა და ეს ჩემი სურვილიო—და, თუ სამში ორჯელ პასიანსი გამოვიდოდა—პეპსის სახეზე გამოუთქმელი აღტაცება დაინატებოდა ხოლმე.

ასე ცხოვრობდა პეპსი—და ყოველთვის კმაყოფილი იყო თავისი ბედით. მას თორმეტი წელიწადი შეუსრულდა, მაგრამ დედა ჯერ ისე უყურებდა მას, როგორც სულ პატარა, უსუსურ ბავშს; ყოველ დილას თითონ დაბანდა, დაბარცხნიდა და ისე ნაზათ ჩააჯენდა ხოლმე სავარძელში, რომ პეპსი ვერაოდეს ვერაფერ ტკივილს ვერ იგრძნობდა; მერე ცხელ ყავას და თბილ თეთრ პურს მოართმევდენ, როგორც რომელიმე პატარა პრინცესას. ჩაცმით ყოველთვის კარგათ აცმევდენ; ზაფხულში—ლენტებით მორთულ თეთრ ზედატანში და რამე ლამაზი ფერის ქვედატანში იყო ხოლმე გამოწყობილი, ზამთარში-კი—თბილი და რბილი მატერიიდან შეკერილ კაბებში.

ოღონდ მის საწყალ, კუტ შვილს რამე ესიამოვნა, ყველაფერი ჰქონებოდა—და მადელონი თავის თავს არაფრისთვის არ იზოგავდა. რაც უნდა სიცივე, წვიმა ან თოვლი ყოფილიყო—ის მაინც იჯდა თავის კარავში და ჰყიდდა ტკბილეულობას; მერე შუა-ღამემდის სახლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქრის პურებისთვის ცომს ამზადებდა. და თან კიდეც კერავდა, რად გან საკერავებში ხშირათ კარგ ფასს აძლევდენ. მას არ შეეძლო ის აზრი აეტანა, ჩემ პეპსის რამე აკლიაო.

ერთხელ პეპსიმ უთხრა დედას, სოფელში ცხოვრება მინდაო. სოფელს ის მხოლოთ წიგნებში მოთავსებული აწერილობიდან და დედის მოყოლილი ამბებიდან იცნობდა. ხშირათ, ქუჩის ხმაურობით დაღალული კუტი ბავშვი დახუჭაედა ხოლმე თვალებს და ირდგენდა სოფელს, მშვენიერ, მწვანე ხავერდივით ბალახით მოცულ, ლამაზ, ყვავილებით აფერადებულ, პატარა ველს და ზედ მარჩუხჩუხე ანკარა ცელქ წყაროს... ერთი მხრით—მაღალ მთებს, რომელიც თითქმის ღრუბლებამდის უწვევენ, მეორით—ხშირ დაბურულ ტყეებს და ოქროსფერათ მობიბინე ყანებს... სოფელში წასელა იყო ერთათ ერთი ოცნება აეთმყოფი ბავშის... და მადელონს გული მწუხარებით ეესობოდა, რომ შეძლება არ ჰქონდა მისთვის ეს სურვილი აესრულებინა.

ედ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერო და ცხრა-ფეხა.

(თარგმანი)

ერთ ჰატარა გუბეში ცხოვრებდენ მრავალი თევზები. როცა წვიმა მოდიოდა, თევზებიც კარგ ეოფაში იყვენ, მაგრამ ზაფხულობით სიცხეში გუბე შრებოდა და თევზები ზოგი ინოცებოდა, და ზოგი, რომელიც ცოცხალი რჩებოდა ცუდ მდგომარეობაში ვარდებოდა.

გუბის მახლობლათ შესანიშნავი ტბა იეო, მუდამ წმინდა და ცივი. ტბის ნაპირები დამშვენებული იეო ჩრდილოვანი ხეებით და სუნნელოვანი უვავილებით, სადაც ცხოვრებდა ერთი მეტათ მოხუცებული წერო, რომელსაც ძლიერ უყვარდა ახალი თევზი.

ერთხელ მივიდა ის გუბესთან, დაინახა იქ მრავალი თევზები და ძალიან მოუნდა მათი შეჭმა. რომ სისრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მოეყვანა თავისი სურვილი მან მოიგონა შემდეგი სერსი:

— საყვარელო თევზებო, —სწორეთ მეცოდებით, თქვენ ბევრი სართ და წყალი-კი ცოტა გაქვსთ. მე ვიცი აქაეე ახლოს ერთი ტბა, რომელიც ღრმაც არის, სუფთაც და გრილიც; თუ გსურსთ, აქედან ეგეელას გადაგიყვანთ იმ ტბაშიო. უთხრა ალერსით თევზებს.

თევზებმა არ იცოდნ, თუ როგორ უნდა მოქცეულიეყვენ და რადგანაც არასოდეს წეროებს თევზებისთვის სიკეთე არ უქნიათ, ამიტომ უპასუხეს:

— ჩვენ ვერ გენდობით შენ, რადგან ვიცით, რომ ჩვენი შეჭმა გინდა.

— მე სრულებითაც არ მინდა თქვენი ღალატი, მე ისეთი გაუტანელი და უსინდისო არა ვარ, როგორც თქვენ ფიქრობთ, და ასეთიც რომ ვიყო, მე უთქვენოთაც ბევრი საჭმელები მაქვს; მხოლოთ მებრალებით და იმიტომ გირჩევთ აქედან გადასვლას, ამ ადგილებულ გუბეში თქვენ მალე მოისარშებით.

— რაც მართალია, მართალია, უთხრეს ერთმანეთს თევზებმა, წყალი ჩვენ ძალიან თბილი და ცუდი გვაქვს, ამასთანავე ცოტა არის და არ გვეოფნის.

ბოლოს გადასწყვიტეს, რომ უფროსი ცალ-თვალა თევზი წეროსთან ერთათ გაეგზავნათ ტბის დასათვალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერებლათ. წერომ წაიევანა ნისკარტით ცალ-თვალა თევზი და ჩაუშვა ტბაში.

ცალ-თვალა თევზმა დათვალიერა ტბა და დარწმუნდა, რომ წერო სიმართლეს ამბობდა. წერომ უკანვე წაიევანა ცალ-თვალა თევზი.

ცალ-თვალა თევზმა ძალიან უქო ტბა თავის ამხანაგებს:

— როგორც წერომ გვითხრა ტბა მართლაც ღრმა და გრილია, გარშემო ჩრდილოვანი ხეები არტია, ნაპირებზე მშვენიერი ევავილებია ამოსული; ახ, რომ იცოდეთ რამდენი მსუქანი ბუზი და ბუზანკლებია იქ; დებო! რა დროება გავატარე! ტიკტიკებდა ცალ-თვალა.

მოისმინეს რა ეს სასიხარულო ამბავი, თევზებმა ერთხმათ გადასწყვიტეს მეორე ტბაში გადასახლება; ერთათ ამოცურდენ ძალლა და სთხოვეს წეროს, ტბაში გადაგვიევანეო. წერომ შეხედა თევზების ქარავანს და უთხრა:

— ეველა ერთათ რომ მოდიხართ, როგორ იქნება! წამოდით თითო-თითო, ხომ ხედავთ მე ერთი ნისკარტის მეტი არა მაქვს, თევზები დაეთანხმენ და რადგანაც ცალ-თვალა თევზი, ეველაზე კაბედავი იყო და მასთან უფრო ენდობოდა წეროს ნისკარტს, ამიტომ ამხანაგებმა ჯერ უფროსობით სცეს ჭატიკი და უმალ ის გააგზავნეს ტბაში. წერომ წაიევანა ცალ-თვალა თევზი ნისკარტით ტბისკენ, მაგრამ ტბაში-კი აღარ ჩაუშვა: შეიტანა სის ფუღურო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ამოჭკენკა მას ერთათ-ერთი თვალი, შემდეგ მოჭკლა, შეჭამა და მოლები ხეს ქვეშ დაჭვარა. ცოტა ხანს შემდეგ წერო მიბრუნდა მეორე თევზის წამოსაყვანათ,

— აბა მითხარით, რომელს გსურთ ესლა წამოსვლა? — ხომ იცით თქვენი უფროსი მეფე თევზი მარტო დასეირნობს ტბაში, არ იცით რომ უთქვენოთ მოეწყინება?!.. ჩალაბარაკა წერომ თევზებს გუბეში. ახლა მეორე გამოცურდა, წერომ სტაცა ნისკარტი, გაუყენა გზას და ის დღე დაეყენა, რაც ჰირველს. ამნაირათ წერომ სულ ამოკრიფა, რაც თევზი იყო გუბეში და მთლათ შეჭამა. როდესაც თევზები შემოელია წერომ გუბეს დაუწყო თვალიერება და კირკიტი, იქნება კიდევ დამრჩა სადმე თევზი, მაგრამ თევზის მაგიერათ ნახა დიდი ცხრა-ფეხა (კიბოს ჯიშია).

— სულ ერთია, იფიქრა წერომ, — ნათქვამია არაკათ: „უთევზო ადგილზე კიბოც თევზაია“ და მიიპატიჟა ცხრა-ფეხა ტბაში.

— ძალიან კარგი, მაგრამ რანაირა „წამიყვან? ჭკითხა წეროს ცხრა-ფეხამ.

— ნისკარტით წაგიყვან, უპასუხა წერომ.

— ეგ-კი, მაგრამ ნისკარტიდან, რომ გამიშვა, ხომ ძირს დავეცემი და შუაზე გავსკდები?

— არა, ჰატიოსან სიტყვას გაძლევ, უპასუხა წერომ, — რომ ნისკირტიდან არ გაგაგდებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ცხრა-ფეხას მეტი მოსაზრება ჰქონდა, ვინემ ეფელა თვეზებს; იმან არ დაუჯერა წეროს და არც იწამა მისი მეგობრობა.

— მე ჩემის ფეხებით უფრო დავიარგრეგ თავს, ვინემ შენი ნისკარტით; მხოლოთ კისერზე შემისვი, იქ მე დაემაგრდები ფეხებით და უშიშრათ ვიგრძნობ ჩემ თავს.— უპასუხა ცხრა-ფეხამ.

წერო ისე იყო დამშეული, რომ ბევრი ადარ იფიქრა, დაეთანხმა ცხრა-ფეხას; ცხრა-ფეხამ მაგრათ ჩასჭიდა წეროს კისერში ფეხები და გაჰქეა მას ტბისკენ. ცხრა-ფეხა ხედავს, რომ წეროს ის ტბის მაგიერათ მიჰყავს იმ ხესთან, რომელზედაც წერო მუდამ იჯდა და სჭამდა ხოლმე თევზებს.

— ეი, ნათლია წერო, უთხრა ცხრა-ფეხამ,—ხომ მართლა ჩამიშვებ მე ტბაში?

— ნუ თუ მართლა შენ ფიქრობ, რომ მე კიბოები და ცხრა-ფეხაები ვათრიო ტბაში?! ხრულებითაც არა,— აი შეხედე იმ ხეს ქვეშ მვლების გროვას, ის მვლები იმ თევზებისა არის, რომელნიც თქვენ გუბეში სცხოვრებდენ; ისინი მე შევჭამე და ეხლა შენც შეგჭამ. უპასუხა წერომ.

— „ბბა! უფრე ეხლა ამბავ", უთხრა ცხრა-ფეხამ და უკბინა წეროს კისერში. მაშინ-კი მიხვდა წერო, რომ ხისულელე იყო ცხრა-ფეხას წვეტიანი ფეხებით კისერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასმა, მისდა, რომ ცხრა-ფეხას შეუძლია ჩემი სიკვდილი, თუ-კი მოინდომაო და ძალიან შეეშინდა.

— ასეთ შემთხვევაში გირჩევია. წერო, გამიშვა მე ტბაში, თორემ ბევრს ინანებ, უიხრა ცხრა-ფეხამ.

— ცხრა-ფეხავ, ჩემო თვალის სინათლე! შეეფერა წერო,— მაპატივე! მე შენ არ მოგკლავ, მხოლოთ მშვიდობიანათ გამიშვი. მაშინ-კი იკადრა წერომ ტბისკენ წასვლა და ცხრა-ფეხას ტბაში ჩაშვება.

ცხრა-ფეხამ დაიწყო მშვენიერ ტბაში მხიარულათ და უდარდელათ ცხოვრება.

ბეს. ვაშაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იყო რაფიელ ერისთავი.

მაწვილებო, პაწია ხანს ყური მათხოვეთ, თქვენ გაზდას! თქვენი გულის ყურით მე გამახარებთ და თქვენ-კი ჭკუას ისწავლით. დედ-მამას, ძიას ანუ ძალუას ეგებ ყური მოჭკარით, გაზეთს რო ჭკითხულობდენ ან თეითონ იმათ გითხრეს, თუ ვინ იყო ის კაცი, გასულის თებერვლის 19 რომ მოკვდა კახეთში, ქალაქ თელავში და 25 დამარხეს სოფ. ქისტაურში, კახეთშივე. თუ მისი ვინაობა შეტყობილი გაქვთ, არა უშავსრა, ჩემგანაც შეიტყოთ. ეგებ ისეთი რამ გითხრათ, რაც იმათ დააეწყდათ.

ის კაცი იყო რაფიელ ერისთავი, ჩინებული მოლექსე, ისეთი კაცი, სიტყვებს რომ ლექსავს, ანუ გაწყობითა სწერს. ზოგიერთი იმისი ლექსი უთუოთ ზეპირათ გეცოდინებათ, რაკი სკოლაში სწავლობთ. მეც ეიცნობ ორ პატარა მოწაფეს თინასა და შალიკოს, წყალიეთ იციან იმისი ლექსები: ბზობა, ადდგომა, სათაბი, თინათს მამითადი, ბერის მოსაგალი, ბოვედი და სხვ. რაფიელი სამოცდა ჩვიდმეტი წლის კაცი იყო. რომ მოკვდა, ხანში შესული, დაბერებული. უკანასკნელ წლებში სულ აღარაფერს სწერდა, რაკი ჯან-ღონე აღარ მოსდევედა, მაგრამ იმაზე დიდხანს-კი ჯერ ქართველ მწერალს არ უწერია: მთელი ორმოცდა ათი წელიწადი სწერა და აკი ქართვე-

ლობამაც, ე. ი. საქართველოს ყოველი კუთხის შვილმა: ქართველმა, კახელმა, თუშმა, ფშაგმა, ხევსურმა, სვანმა, მეგრელმა, გურულმა, იმერელმა და მესხმა დიდის ამბითა და ზეიმით იუქმა და მიეულოცა პაპა რაფიელს ნაყოფიანი მუშაობა, მოღვაწეობა. დღეობა გაიმართა 1895 წ. ოქტომბრის 22 დღეს საქართველოს დედა ქალაქ თბილისში, რადგანაც ის ჩვენი ქალაქების თავია, იქ ცხოვრობს თავმოყრით მრავალი ქართველობა და იქვე მრავლათ იბეჭდება ქართული წიგნები, გაზეთები და ჟურნალები. იმ დღეს კუთხე არ დარჩენილა ჩვენი ქვეყნისა, რომ ამნაირივე დღეობა არ გაემართოს მოლექსე ბერიკაცის პატივსაცემლათ და მისალოცათ, (ისე როგორც ერთხელაც მოხდა დიდუბეში თამარ მეფის საქორწილოთ), არ გამოეგზავნოსთ საპატიო მოციქულები და სათემო ტანისამოსში გამოწყობილი გლეხები, რადგანაც პაპა რაფიელს გლეხები ერთობ უყვარდა და თავისი ლექსებით სულ იმათ სოფელს, იმათ მუშაობას, იმათ ჭირსა და იმათ ლხინს, მოჭრით რომ ეთქვათ, იმათ ცხოვრებას გეიამბობდა. ქალაქის ქართულ თეატრში, სადაც თავი მოეყარა საუკეთესო ქართველობას, ამაღლებულ ადგილზე, სცენას რომ ეძახიან, და ჩვენი მსახიობნი წარმოდგენას მმართვენ ხოლმე, საკარძელი იყო დადგმული. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში სადღეგრძელო წირვასა და პარაკლისს შემდეგ რაფიელი სწორეთ იქ უნდა მოსულიყო. გამოჩნდა თუ არა თეატრის დერეფანში, ქართველი მომღერლები ხმა-შეწყობილის სიმღერით მიეგებენ და სცენაზე შემოიყვანეს. საზოგადოება მთლათ ფეხზე წამოდგა და შეუწყვეტელის ტაშისცემით ერთხმით იგრიალა „გაუმარჯოს“, ეგაა ეგაო. ხალხის სიხარული გამოუთქმელი იყო. სიჩუმე ჩამოვარდა, მოდღესასწაულე რაფიელმა დანიშნული ადგილი დაიჭირა, იმის ცოტა ქვემოთ დასხდენ მხარის დასამშვენებლათ მარჯვენე აკაკი და მარცხენე ილია, ჩვენი სახელ.გათქმული მოლექსეები. დაიწყეს მილოცვა რიგი მისალოც ლექსებსა და წერილებს უკითხაედა, რიგი დაფნის გვირგვინებს უძღვნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასეთი ქება-დიდების მომსწრე რაფაელი 1824 წლის აპრილის ცხრას დაბადებულა, მაგრამ სად აუნელია პირველათ თვალი, კარგათ არ იციან; ზოგი ამბობს ქართლის, სოფ. ჭალაში, ზოგი კიდე კახეთის სოფ. ქისტაურშიო. ვინ სტყუის და ვინ მართალს ამბობს, ძნელი შესატყობია, მაგრამ განა სულ ერთი არ არის, კაცი სადაც უნდა დაიბადოს, ოღონდ კარგი და სამშობლო ქვეყნის მარგებელი ადამიანი დადგეს?.. მაგ კახელი ჭყვედა თავ. დავით ერისთავი, დედა-კი ქართველი, ნინო, თავ. ავთანდილ ამილახვრის ქალი. ხომ შეიტყეთ, რაფიელს დედაცა და მამაც თავადთაგანი ჭოლია, დიდ-კაცები და დიდი-გვარ შვილები, ერთისთვი და ამილახვარი. ძველათ-კი ქართული სწავა, ქართული წიგნები სულ თავადაზნაურებისა და მღვდლებია ხელში იყო და პატარა ბავშვებსაც კარგათ ასწავლიდენ. პატარა—ბატონიშვილებს ძიძები და გამდელები ჰყავდათ მიჩენილი და ისეთებიც-კი ახლდენ, რომ პატარას ზღაპრითა და სიმღერით იქცევდენ, იყოლიებდენ. წამოიზრდებოდა თუ არა წერა-კითხვის სასწავლებლათ მიაბარებდენ სადმე მონასტერში. მაშინდელი სკოლაც ის იყო. ჩვენ რაფიელსაც ეს ბედი ეწია. სანამ შინ იყო, დედ-მამის, თუ გამდლების ხელში, ბევრი კარგი ძველებური ამბავი, ზღაპარი და ლექსი გაიგონა და ისწავლა. სწავლის დრო რომ დაუდგა, მიაბარეს შუამთის მონასტრის ერთ ჩინებულ ბერ-მონაზონს, გვარათ კიკნაძეს. მაშინ რაფიელი თურმე შვიდი წლის ბიჭუნა იყო. სულიერ მამასთან რაფიელი ორ წელიწადს დარჩა, მერე-კი იმისი მშობლები გადმოვიდენ თფილისში საცხოვრებლათ და რაფიელიც თან წამოიყვანეს. მაინც რა და რა წიგნი აკითხეს რაფიელს შუა მთის მონასტერში, არ ვიცით. ვეითონ ბოლოს ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიელს კი უთხრობია თავისი ნაცნობებისათვის, რომ ბერი კიკნაძე ბავშვებს ყველაფერს ზეპირად გვასწავლიდა, მინდორში გაეყვანდით და ყველაფერზე ლექსებს გვათქმევინებდაო. ის ბერი მოძღვარი რომ სწავლული ყოფილა, ორი რამ გვეუბნება. ერთი ის რომ თურმე მზის საათის კეთება სცოდნია, როგორც ამტკიცებენ, მეორე ის, რომ სასულიერო სწავლასთან, სახორციელო სწავლაც მიუღია, რადრანაც მოლექსეობის ხელობაც სცოდნია. ძველათ ლექსის წერას ნიჭს გარდა ხერხიც ეჭირვებოდა, საგანგებოთ დაწერილი წიგნიც-კი იყო, სახელათ „ჭაშნიკი", სადაც ჩამოთვლილია, თუ ქართული ლექსი რამდენნაირათ შეიძლება გაიწყოს და რა შემთხვევისთვის, როგორ უნდა გაიმართოს. ჩვენს მოლექსე რაფიელს რომ უთქვამს ყველაფერზე ლექსებს გვათქმევინებდაო, სწორეთ ამიტომ ეამბობთ, რომ მის მასწავლებელს ლექსის გაწყობაც სცოდნია.

ვიდრე 1833 წ. ქალაქს გადმოსახლდებოდა, რაფიელს მანამდისაც სცოდნია თურმე რუსული ენა. წერა-კითხვა უსწავლია გორის ჯარის ხაზინადრის კოჩერგინისაგან, ლაპარაკი-კი ერთი იქაური პოლკოვნიკის ბირილოვის სახლობაში, სადაც თვითონ რაფიელი დადიოდა და გორის საუკეთესო ხალხიც საღამოობით თავს იყრიდა დროს გასატარებლათ. ქალაქში რომ გადმოვიდა, რუსის სკოლაში მიბარეს მესამე კლასში, ეხლა რომ პირველი გიმნაზია არის. სწავლას რომ მორჩა, სახელმწიფო სამსახურში შეიდა, მაგრამ ერთ ადგილზე გული არ ჩამოუხდა და ჩვენი ქვეყნის კუთხე არ დარჩენილა, რომ არ გამწესებულიყოს. თუშ-ფშავ-ხევსურეთი, გურია, ოდიში, იმერეთი, ქალაქი და სხვა ადგილები სულ მოიარა. მაგრამ ქართულს ენას მაინც არ შეელია. პირიქით ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა თემში ცხოვრებამ უფრო შეასწავლა, შეაყვარა ქართული და უფრო მეტი დრო მოანდომა ქართულათ წერას. პირველი სკოლა რომ ქართულათ გაიარა, ქართულიც იმიტომ კარგათ ისწავლა, და რუსის სკოლაში ხომ არც რუსულში ჩამორჩა თავის ამხანაგებს, რუსის შვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა რაფიელი ოცი წლის ახალგაზდა იყო, პირველი ლექსი რომ დასწერა 1844 წ., სახელათ „დარიგება". ბევრი რამ კარგი და ჭკეიანური გვასწაელა ამ მოლექსე ბერიკაცმა, მაგრამ თავი და თავი კი ის არის, რომ არც ერთმა კაცმა, თუ უნდა რომ ადამიანი გახდეს, არ უნდა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და ის ქვეყანა, სადაც დაბადებულა, სადაც დედ-მამა ეგულება და სადაც უნდა მოკვდეს, რადგანაც, როგორც ერთია დედა, ისე სამშობლოც ერთია და როგორც დედ-მამა არ გაიცვლება სხვა დედ-მამაში, ისე არც სამშობლო გაიცვლება სხვა სამშობლოში, თუ გინდ სამოთხეც იყოსო. სწორეთ ამას გვასწაელის ერთი იმისი ლექსი სახელათ „სამშობლო ხვესურისა", და თუ ჯერ არ იკით ზეპირათ, გირჩევთ დაისწაელოთ. სულ მალე ჩაბულბულებთ, რადგანაც წყალივით მოდის, კითხვის დროს. ისეთი საამო ყურის დასაგდებია, როგორც მთის წყაროს ჩუხჩუხი. ჩემმა ნაცნობმა თინამა და შალიკომ ზეპირათ იციან და ეინმე სტუმარმა, ძიამ ან ძალუამ რომ სთხოვონ, მაშინვე მოჰყვებიან დაუზარებლათ.

შუა მთის მონასტერი, სადაც პატარა რაფიელმა პირველი სწაელა მიიღო, გურული ქალის აშენებულია იმ ადგილს, სადაც თურმე უწინ თეთრი შვინდის ხე იდგა და იმას-კი სიზმარში ენახა. ის გურული ქალი, როგორც ჩვენი ისტორია გვასწაელის, იყო თინათინ, გურიელის ანუ გურიის მთავრის ასული. როდესაც ის კახეთის მეფეს მისთხოვდა და მის სამშობლოში მოდიოდა, გზაში თეთრი შინდის ხე ცხადათ ნახა და ძლიერ გაიოცა. ადგილი ფშიდათ ჩასთვალა და ღვთის საღიდებლათ და ბნელის ხალხის გასანათლებლათ მონასტერი გააშენა. ჩვენი პაპა რაფიელიც პირველათ იქ განათლდა და იქვე გაიმართა პირველათ ქართული ლექსის წერაში. თუ გურულმა ქალმა დაუდგა მის გონებას ლამპარი—შუა მთის მონასტერი, გურულმაეე ქალმა დაიხსნა იმისი გული მარტოობის ჯაჭვისაგან და მეგობრობას დაჰყვა. ის ქალი იყო დაეთი ერისთავის ასული. რაფიელს თურმე ძლიერ უყვარდა, მაგრამ რადგანაც საცოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ახალგაზდა ეგულებოდა და თვითონ კი მაშინ ორმოცი წლისა იყო, ეჭვმა აიტანა, ვაი თუ არ წამომყვეს ცოლათო. საბედნიეროთ ეჭვი ნუგეშათ გადაექცა, თეოდოსიამ მოლექსეობის ნიჭი დაუფასა და ცოლათ გამოჰყვა. მაგრამ სიკვდილმა მაინც წაართვა იმისი თავი 1891 წ. დეკემბრის 4, პარპარობა დღეს და საპატრონოთ ხუთი ობოლი ქალიშვილი დაუტოვა. ბევრი ჭირი ნახა პაპა რაფიელმა, მაგრამ გული მაინც არ გაიტეხა და თავისი ცხოვრებით და მოქალაქობით სულ თავისი ქვეყნის სიკეთისთვის ზრუნავდა.

პეტრე ძერიანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე დიმიტრი თავდადებული (1273—1289) და გიორგი ბრწყინვალე (1318—1346)

(„ბუნების კარის“ მოსაგალი გამოტეშიდან).

ონგოლების დროს თავდადებულთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მეფე დიმიტრისა. ეს მეფე ყმაწვილობაში იყო ქეიფის მოყვარე, უზნეო და უზრუნველი. მაგრამ, როცა ხანში ჩავარდა, სრულიად გამოიცვალა: მეტად კაცთ-მოყვარე, ღვთის-მოსაგი შეიქმნა და დაუღალავად ზრუნავდა ხალხის კეთილ-დღეობისათვის. იმდენად გულ-კეთილი იყო, რომ ღამ-ღამით გადაიცვამდა ხოლმე უბრალო ტანისამოსსა და ჩუმად დაიარებოდა ხალხში, რათა თვისი თვალით ენახა მისი გაჭირვება, თვისი ყურით მოესმინა მისი ჩივილი და საკუთარი ხელით ეძღვნა შემწეობა ღარიბთათვის. საუბედუროდ, ეს ჩინებული მეფე თვისს ერს შერჩა მხოლოდ თხუთმეტს წელიწადსა.

იმ დროს მონგოლთა ყაენად იყო არღუნი. ამ არღუნ-ყაენმა ღალატი შესწამა თავისს სარდლებსა, ანუ ნოინებსა და მათთან ერთად დიმიტრი მეფესაცა; საიდუმლოდ გასცა ბძანება და ყველა ნოინები დაახოცვინა. შემდეგ დიმიტრი მეფეს მრისხანედ შემოუთვალა: დაუყოვნებლივ გამოცხადდი ჩემს წინაშე, თორემ შემოვესევი შენს სამეფოს ჩემი ძლევა-მოსილი ჯარით და სულ ნაცარტუტას ავადგენო.

საშინელს საგანებელში ჩავარდა მეფე: თუ წავიდე, უთუოდ მომკლავს სხვებსავით და ჩემი ქვეყანაც ობლად დარჩება, რადგანაც ჩემი მემკვიდრე ჯერ ჩვილი ბავშვია. თუ არ წავიდე, ის ურჯულო, შემოესევა ჩემს სამეფოში, გადასწვავს სოფლებს და ქალაქებს, გაჟლეტს მცხოვრებლებსა და ნაოხრად მიქცევს ქვეყანასაო. მოიწვია

ქათალიკოსი, დიდებულნი, ერისთავნი და რჩევა მოითხოვა. ყველამ ძლიერ იუარა მეფის წასვლა. სთხოვეს მეფეს: ნუ ინებებ წასვლას იმ მტარვალთან, ნუ მოაკლებ მზრუნველს მამას ქვეყანასა, ნუ დაგეამბლებ; შეეებრძოლოთ მტერსა და თუ გვძლია, გავიხიზნოთ მთებშიო. მეფემ უპასუხა:—მტერი მეტად ძლიერია, ჩვენ კი სუსტი ვართ; ბრძოლა შეუძლებელია. ჩვენ იმას ვერ შევიკავებთ და იგი მთელს ჩემს სამეფოს გადააქცევს სისხლისა და ცრემლის ზღვადო. მსხვერპლი აქ აუცილებელია: ან მეფემ უნდა დასდოს თავი ერისათვის, ან ერი უნდა ემსხვერპლოს მეფესაო. და რადგან ერთის ტანჯვა და სიკვდილი უზომოდ უკეთესია მრავლის ამოქლეტაზე, ამიტომ მე გადავწყვიტე წავიდე მონგოლთა მბრძანებელთან, მივიღო მისგან სიკვდილი და ამით ავაცილო ხალხს დიდი უბედურებაო. ქათალიკოსმა მოუწონა მეფეს ასეთი თავდადებულობა, რამაც მეფე მეტად გაახარა.

ხალხმა რომ ეს შეიტყო, მოიყარა თავი სასახლესთან და ცრემლით ეევედრებოდა მეფეს, წასვლაზე უარი ეთქვა:—ჩვენ ყველანი მზადა ვართ ერთს დღეს დაგწყდეთ შენის გულისათვისაო. ასეთმა გულმხურვალე სიყვარულის გამოცხადებამ კიდევ უფრო აიფრთოვანა მეფის წმიდა წადილი. მან ხალხს გულითადი მადლობა გადაუხადა და წასასვლელად მოემზადა. თავისი ჩვილი მემკვიდრე მეფედ აღიარა, მის ერთგულებაზე დაფიცა წარჩინებულნი პირნი, გაიყოლა თან ქათალიკოსი და მცირე ამალა და გაუდგა გზასა.

რასაც მეფე ელოდა, საესებით აღსრულდა, საუბედუროდ, მონგოლთა მბრძანებელმა იგი დაუყოვნებლივ მისცა სიკვდილსა და თავი მოაკვეთინა. მოკვდა თავდადებული მეფე, მაგრამ ხალხი-კი იხსნა საშინელი განსაცდელისაგან. მტარვალმა იკმარა ჯავრის ამოსაყრელად მეფის სიკვდილი და საქართველოს ხელი არ ახლო.

როცა დიმიტრი მეფე მონგოლთა ურდოში მიდიოდა, მისი საყვარელი ცოლი ნათელა ახალციხის გზას დაადგა. იგი მიისწრაფებოდა თავისს მამასთან, მესხეთის მბრძანებელთან, და თან მიჰყავდა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეისი ჩვილი ეაკი გიორგი, რათა მყუდროებაში უშიშრად აეზარდნა. ნათელა იმ ქამად პირველ ქალად ითვლებოდა მთელს საქართველოში მაღალი ჭკუით, მტკიცე ხასიათით, კაცთ-მოყვარე გულით, მამულიშვილობითა და განათლებით. ამიტომ მან თავისი ეაკი გიორგი ჩინებულად აღზარდა. გიორგიში განხორციელდნენ იშვიათნი ღირსებანი მამისაცა და დედისაც, როგორც თამარ-მეფეში.

ამიტომ გახდა თუ არა სრულ-წლოვანი და აეიდა მამის ტახტზე, გიორგიმ ბრძნულად იწყო მართვა სამეფოსი. თავდაპირველად დასაჯა ოსნი, რომელნიც გიორგის მცირე-წლოვანობის დროს მთებიდგან ჩამოეცვივნენ ქართლსა და ცარცეა-გლეჯით საქმე გაუჭირვეს ხალხსა. რამდენჯერმე დაამარცხა, მთაში არეკა, ხარჯი დაადო და თავისი ერისთაეები დაუყენა. მერმე შეუდგა ალაგმვას თავ-გასულ ერისთაეებისას; ზოგნი დასაჯა თანამდებობის ჩამორთმეეით, ზოგნი-კი, უფრო ბოროტნი და აბეზარნი, სიკვდილს მისცა. მათ მოადგილედ დანიშნა ნიჭიერნი, ერგულნი და ქვეყნისათვის თავდადებულნი ქართველნი. სასულიერო საქმეებიც უკეთ მოაწყო. აქაც უღირსთნი გადააყენა და ღირსეულნი დააყენა უფროსებად. როცა დაამყარა სრული წესიერება თავისს სამეფოში, შეუდგა საქართველოს ერთობის აღდგენასა. მაშინდელს იმერეთის მეფეს ძლიერ ემდურებოდნენ იმერნი და იწვევდნენ თავისთან გიორგისა. ამნაც ისარგებლა ამ შემთხვეეთ, ეადაეიდა ჯარით სურამის მთასა, დაატყვეეა იქაური მეფე, მეფობა ჩამოართვა, ერისთაეობა მიანიჭა და დასავლეთის საქართველო შემოუერთა აღმოსავლეთის საქართველოსა. კელაე აღმობრწყინდა ზზე საქართველოს ერთობისა. გაძლიერდა ქვეყანა, ზურგი გაუმაგრდა, წელში გაიმართა. გიორგიმ აღარ დააყოვნა და გაილაშქრა მონგოლებზე. დაამარცხა იგინი რამდენჯერმე, საქართველოს არე-მარედგან მთლათ გარეკა და სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა ერსა. ამითიც არ დაკმაყოფილდა. დაიპყრო ყველა ქვეყნები კასპიის ზღვამდე, დაამარცხა მოუსეენარი ლეკებიც და ყველას ხარჯი დაადო. მთელი სამხრეთის კავკასიონი, შაეი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, გახდა საბრძანებელი გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი მეფისა. განახლდა დიდებული დრო თამარ-მეფისა, აღსდგა საქართველო, ჯან-ღონით აიესო, დიდებით შეიმოსა.

შეადგინა გიორგი მეფემ კანონები ქვეყნის გამგეობისა და მართვისა, წმიდა ზნეობისა, ქვეყნის სამსახურისა, დაარქვა ამ კრებულს „ძეგლის-დება“ და გამოსცა სახელმძღვანელოდ თავისს ქვეშევრდომთათვის.

ასეთი სიძლიერით და სიბრძნით გიორგიმ ჰმართა მთელი შეერთებული საქართველო ოც-და-რვა წელიწადსა, სწორედ იმდენსა, რამდენს წელსაც იმეფა თამარ-მეფემ. მადლიერმა ერმა დაარქვა მას ბრწყინვალე გიორგი და აქამომდე ამ სახელით იხსენიებს მას.

ი. გოგებაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეროდოტის თქმულება კიროსის დაბადების შესახებ.

(გუშდგი გოგდის)

ზიის ძველ სახელმწიფოთა შორის მიდიას ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი ეჭირა. ბუნების სიმდიდრე, ჰავა და მდებარეობა ამ სახელმწიფოსი უნებლიეთ იპყრობდა სხვა სახელმწიფოთა დიდ ყურადღებას. სპარსელები დიდ ხანს მიდიელების ხელქვეითნი იყვენ, მაგრამ დროთა ვითარების გამო მიდიის ბედი სხვაფრივ დატრიალდა. სპარსეთმა არა თუ დაუბრუნა თავის მკვიდრს დამოუკიდებლობა და სრული თავისუფლება, პირიქით მიდია დაიმორჩილა და საბოლოოთ შემოიერთა. ეს შესანიშნავი ისტორიული ამბავი მოხდა მეექვსე საუკუნეში, ქრისტეს დაბადებამდის, სპარსეთის მეფის კიროსის დროს. ამ შესანიშნავი კაცის დაბადების და აღზრდის შესახებ ცნობილი ელლინთა ისტორიკოსი ჰეროდოტი შემდეგს მოგვითხრობს.

მიდიის მეფეს ასტიაგს ჰყავდა ერთათ ერთი ქალიშვილი, რომელსაც სახელათ მანდანა ერქვა. მეფემ ერთ დამეს მეტათ საკვირველი სიზმარი ნახა. ასტიაგს დაესიზმრა, რომ ვითომ მანდანას პირისაგან წყლის ნაკადულები გადმოდიოდენ და ეს წყალი ნელ-ნელა რწყავდა არა თუ მის სატახტო ქალაქს, არამედ მთელ აზიას. მეფე ძლიერ შეაშფოთა ამ სიზმარმა, მან მყისვე დაიბარა სახელმწიფოს სწავლულნი და უამბო ეს საკვირველი სიზმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწაელულებმა მეფეს ეს საკვირველი სიზმარი ამნაირათ აუხსნეს: „დიდებულო ხელმწიფეე. შენს ქალიშვილს მანდანას მოკლე ხანში შეეძინება ეაჟი, რომელიც ტახტიდან გადაგაყენებს და მთელ აზიაში გამეფდება“ო!

მეფე ამგვარმა სიზმრის ახსნამ დიდ საგონებელში ჩააგდო და რომ იგი მართლა არ ახდენილიყო, მანდანა მიათხოვა ერთ გამოჩენილ სპარსელს და არა მიდიელს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. სპარსელები მიდიელების ხელქვეთნი იყვენ და ამბა ვინ მოიფიქრებდა, რომ მანდანას შვილი ოდესმე მიდიაში გამეფდებოდა. მანდანას დაქორწინების ერთი წლის შემდეგ ასტიაგმა კვლავ სიზმარი ნახა, ეითომ მისი ქალის მუცლისაგან აღზრდილიყო ეაზი, რომლის დიდრონი ფოთლები მთელ აზიას ჩრდილავდენ. სწაელულებმა ეს სიზმარიც ისე აუხსნეს მეფეს, როგორც პირველი. ასტაგი ძრიელ შეფიქრიანდა, მით უმეტეს, რომ სწორეთ ამ დროს მანდანას შეეძინა ეაჟიშვილი. ასტიაგმა ამ შემთხვევაშიც შესაფერი თავდარიგი დაიჭირა: საიდუმლოთ მოიწვია თავისი ახლო მეგობარი ჰარპაგი და უბრძანა, მანდანასათვის მოემორჩილინა ახლათ შეძენილი ეაჟი და დაუყოვნებლივ მოეკლა. ჰარპაგმა თანხმათ მეფის ბრძანებისა ჩამოართვა მშობლებს ახლათ შეძენილი ეაჟი, მაგრამ სიბრალულმა იმოდენათ იმოქმედა მაზე, რომ უდანაშაულო მსხვერპლის თავის ხელით მოკვლა ვეღარ შესძლო. ყოველ შემთხვევაში, მეფის ბრძანება რომ შეუსრულებლათ არ დაეტოვებინა, დაიბარა სასახლის მწყემსი, მიტრიდატი, გარდასტა კაცწვილი და უბრძანა, დაუყოვნებლივ მოეკლა იგი და სადმე მიეარდნილ ადგილას გადაეგდო.

— „გაფრთხილებ“, ამ სიტყვებით გაისტუმრა ჰარპაგმა მიტრიდატი, „თუ შენ საესებით არ შეგისრულებია ეს ბრძანება, თანხმათ მეფის სურველისა, უთუოთ სიკვდილით დაისჯები“ო!

სწორეთ იმ დროს, როცა მიტრიდატი ჰარპაგთან იყო დაბარებული, მწყემსის ცოლს შეეძინა მეტათ სუსტი და ავადმყოფი ეაჟი, რომელიც დაბადებისთანავე გარდაცვალა. მიტრიდატმა უამბო ცოლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰარპაგის საიდუმლო მონდობილობა და თან მეტათ შესანიშნაი ლამაზი და ჯანმრთელი ყმაწვილი აჩვენა. ცოლმა ცრემლებით და მუდარებით შესთხოვა მიტრიდატს, უდანაშაულო მსხვერპლი სიკვდილისაგან დაეხსნა და შინ დაეტოვებინა. მიტრიდატი დიდხანს უარზე იდგა, მაგრამ ცოლის მუდარებას და ხვეწნას წინ ვეღარ აღუდგა. მანდანას ეაკი მიტრიდატმა სახლში დასტოვა და თავის ახლათ გარდაცვალებული ბავშვი წაიღო და ერთ მიეარდნილ ადგილას დამარხა, ჰარპაგს-კი მოახსენა, რომ მეფის ბრძანება უკვე შეესრულეო. ამნაირათ მიტრიდატმა მეფის შვილის-შვილი, რომელსაც სახელათ კიროსი უწოდა, სიკვდილისაგან გადაარჩინა. კიროსი უვნებლათ იზრდებოდა მწყემსის ოჯახობაში და ასტიაგი-კი ამ დროს ღრმათ დარწმენებული იყო, რომ ჰარპაგმა მისი საიდუმლო ბრძანება სისრულეში მოიყვანა.

კიროსი, სწორეთ ათი წლისა იქნებოდა, როცა იგი ერთხელ თავის ტოლ-ამხანაგებში თამაშობდა. ბავშვებმა ის აირჩიეს მეფეთ და თამაშობას შეუდგენ. კიროსმა ეს თანამდებობა მეტათ შეიმშენია: მან დაუკონებლივ ამხანაგებისაგან შეადგინა მეფის სასახლის მეთვალყურენი, ზოგნი მათგანი თავის ამალათ დანიშნა, ზოგნი მეფის მოთათბირეებათ და ამნაირათ შეუდგა პატარა ბავშვთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას.

კიროსი თამაშობის დროს სხვა-და-სხვა განკარგულებას იძლეოდა და ყველასაგან უმეტ-ნაკლებოთ აღსრულებას თხოულობდა. მოთამაშეთა შორის იყო ერთი წარჩინებული მიდიელის ბავშვიც, რომელმაც კიროსის რაღაც ბრძანება იუკადრისა და სისრულეში არ მოიყვანა. ახალგაზდა მეფე განრისხდა, მყისვე ბრძანება გასცა რათა ურჩი ქვეშევრდომი გაეწკეპლათ. ბავშვებმა, რასაკვირველია, თავიანთი არჩეული მეფის ბრძანება დაუკონებლივ სისრულეში მოიყვანეს. პატარა მიდიელი ცრემლების ღაპაღუპით მამასთან მიეჭრა და ტირილით შესჩივლა თავის გაწკეპლის ამბავი.

მამამ დიდ შეურაცხყოფათ მიიჩნია ვიღაც უბრალო მწყემსის

შეილის საქციელი და ყველაფერი ამის შესახებ მეფეს მოახსენა. ასტიაგმა დაუყონებლივ დაიბარა მიტრიდატი და მისი კაღნიერი შეილი.

— როგორ გაბედე და შეურაცხყოე ჩემი დიდებული კარის-კაცის ეაჟი?" წყრომის კილოთი ჰკითხა ასტიაგმა პატარა კიროსს.

— „დიდებულო ხელმწიფეე! უპასუხა კიროსმა, მე ისე მოვექეცი მას, რისაც ღირსი იყო. თამაშობის დროს ამხანაგებმა ღირსათ მცნეს და მეფეთ ამირჩიეს. ამ არჩეევაში თეით თქვენი დიდებული კარის-კაცის ეაჟიც მონაწილეობას იღებდა. ყველანი ჩემს ბრძანებას, როგორც მეფისას, ასრულებდენ და არც ნება ჰქონდათ არ აესრულებინათ. ხოლო დიდებულის ეაჟი გაურჩდა და ჩემი ბრძანება წესისამებრ არ შეასრულა. აი, სწორეთ ამ საერთო წესების დარღვეევის გამო დავესაჯე. უკეთუ მე ცუდი რამ ჩამიდენია, უკეთუ მე სამართლიანათ არ შოვქცეულვარ, დეე დამსაჯეთ, მეფეო, ხოლო თქვენს სამართლიანს მსჯავრს ნუ მომაკლებთ!"

მეფე ძრიელ გაკვირვა პატარა კიროსის გამბედავმა და მოსწრებულმა სიტყვა-პასუხმა და ამასთანავე მას რაღაც ეტეი შეეპარა, რადგანაც კიროსის სახის გამომეტყველებას მეტათ დიდი მსგავსება ჰქონდა მანდანას პირისახესთან. მეფემ საიდუმლოთ გამოკითხა მიტრიდატს კიროსს ვინაობის ამბავი. მიტრიდატი გულწრფელათ გამოუტყდა მეფეს და ყველაფერი დაწერილებით უამბო. ჰარპაგი მეფემ სასტიკათ დასაჯა, და თუმცა იგი სამსახურში დასტოვა, მაგრამ მასთან ყოველგვარი მეგობრული კავშირი გასწყვიტა. მეფეს სადარდებლათ ახლა ისღა დარჩა, რომ კიროსი რამენაირათ თავიდან მოეცილებინა. სახელმწიფოს წარჩინებულმა პირებმა ასტიაგს მოახსენეს, რომ მეფის სიზმარი უკვე აღსრულდა: კიროსი ამხანაგების მიერ ერთხელ არჩეულ იქმნა მეფეთ და ამიტომ ასტიაგს არაეითარი ხიფათი არ მოელისო. მეფემ მოიწონა თავისი კარის-კაცების ამგვარი ხიზმრის ახსნა და ცოტათი დამშეიდდა. ამას შემდეგ ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიაგმა დაიბარა კიროსი და უთხრა: „დრო იყო, ჩემო კარგო, შენი დაღუპვა გულითა მწადდა, მაგრამ შენი ბედი სულ სხეფრიე დატრიალდა. ახლა დამშეიდდი, არავითარი ფათერაკი აღარ მოგელის. სრულიად დამშეიდებული წარემგზავრე სპარსეთში და იქ შენ ნახავ ნამდვილ მშობელ დედ-მამას, რომლებიც შენის ნახვით მეტათ გაიხარებენ!“

კიროსმა სპარსეთში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სპარსელები დიდის თავაზიანობით და ნდობით ეპყრობოდენ უკვე დავაკაცებულ კიროსს.

კიროსის და სპარსელების კეთილ-განწყობილებით ისარგებლა ჰარპაგმა, რომელსაც დიდი ჯავრი სჭირდა ასტიაგისა, და მიწერ-მოწერა გამართა სპარსელების სატრფიალო გმირთან. ჰარპაგი ერთ-ერთ თავის წერილში კიროსს სწერდა: „დიდებულო კირო, დროა სპარსელებმა თავი დაიღწიონ მიდიელების სამარცხვინო და აუტანელ მონობას. იარგებლეთ, დიდებულო, სპარსელებთან კარგის განწყობილებით და ომი გამოუცხადე შენის სიკვდილის მოსურნე ასტიაგს. ჩემის მხრით დახმარებას არ მოგაკლებო!“ კიროსს ძრიელ მოეწონა ჰარპაგის რჩევა და ომის თავდარიგს შეუდგა. სპარსელები დიდის აღტაცებით ამხედრდენ სამშობლოს გასათავისუფლებლათ და კიროსის სარდლობით მიდიისაკენ გაიელაშქრენ. მიდიის მხედრობა პირველ შეტაკებისათანავე სამარცხვინოთ დამარცხებულ იქმნა.

ამნაირათ სპარსელებმა დიდი ხნის მონობას თავი დაიღწიეს და არა თუ სრული დამოუკიდებულობა დაიმკვიდრეს, არამედ მთელი მიდიის სახელმწიფო თვით დაიმორჩილეს და თავისი გულადი წინამძღოლი, ჯერ კიდევ ჭაბუკი კიროსი, მეფეთ აღიარეს.

ა. უუმისთვალი.

აღდგომა ქრისტესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ღ დ გ ო მ ა.

ვაიღვიძეთ ემაწვილებო,
წამოდექით მარდათ, ცქვიტად,
შემოსძახეთ უმანკო ხმით
„ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად“.

—

რა ხანია თქვენ ფანჯრის წინ
ვაწაწინა ჩიტი გალობს,
თქვენს ადგომას ელოდება
და კუსკუსით დაცქრიალობს.

—

გეგვიდრებათ, მეგობრებო,
გამოადგეთ ფანჯრის კარი,
თქვენთან ერთათ მინდა ვაქო
და ვადიდო მაცხოვარი!

—

მაცხოვარი, ვისმა გულმაც
ქვეყნათ ეფერა შეიყვარა;
ობლებს კვერი გამოუცხო
და ჩაგრულნი გაახარა!

ზ. მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ORI ČITI.

პაპაზიანისა.

ვალია, სადაც ისინი იყვენ დამწუვდეულები, ფანჯარასთან ეკიდა. ორნი იყვენ—დედალ-მამალი. ერთიც და მეორეც ბარტყები წამოასხეს ბუდიდან და ტყეოობაში გაზარდეს.

ზრუნვას არ აკლებდენ, კარგათ აზმევდენ, იმათი ბინა ყოველთვის გაწმენდილი, გასუფთავებული იო. გალიას ყოველთვის ლამაზათ მოურთავდენ ხოლმე მწვანე ბალახითა და ბურის თავთავებით.

გაიხარდენ და დაიწყეს სიმღერა, რასაკვირველია კარგათ ვერ მღეროდენ, მაგრამ მაინც მღეროდენ. თვით მათ არ ესმოდათ ახრი თავიანთი სტვენისა. ის გულსაკლავი ამოკვნესა იო დატანჯული სულისა, ის იო სიმღერა სევდისა და ტანჯვისა, რომელიც შეუჩერებლივ გაისმოდა მათი ბატარა დაპონებულ გულებიდან.

ვინც-კი იმათ სიმღერას გაიგონებდა, ყველას სევდა, სიბრალული შეიცავდა ხოლმე, ყველა ამბობდა:

— საწყალი ჩიტები, საწყალი იადონებიო. ამ სიტყვებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გამოიხატებოდა ხალხის ალერსი და ქება მათი სიმდერისა.

—

ერთხელ ისე მოხდა, რომ გალიის კარები ღია დარჩა მთელ დღეს.

გაოცდენ ჩიტები ამის დანახვაზე; გაოცდენ და ერთმანეთს გადახედეს. ორივემ წამს გაიფიქრეს, რომ, თუ მოინდომებენ, შეუძლიათ თავი დაახწიონ ტყვეობას.

— გავფრინდეთ? მაგრამ საით? ოჰ, ნეტავი იმის ცოდნა შეიძლებოდეს, თუ რა მოგველის ჩვენ ამ თვალ-გადუწვდენელ არე-მარეში.

დაფაცურდენ ჩიტები, ჯერ ერთი ჩასტა ქანდარიდან, მერე მეორე და მიუახლოვდენ კარებს. მაგრამ ვერ გაბედეს გაფრენა, მსოლოთ თავები გაჰყვეს ოდნავ კარში და შეიხედეს ზევით.

— მოდი გავფრინდეთ.

— გავფრინდეთ,—უჩურჩულა დედალმა.

მაგრამ არც-კი განძრეულან,—ეშინოდათ... მოაგონდათ უზარ-მაზარი, საშიშარი ფრინველები, რომელთაც არა ერთხელ გაუფრენიათ იმათ გალიის წინ, მოაგონდათ მათი ავი და მხეცური თვალები... მოაგონდათ გაიმეორა კატა.

ღია კარი-კი მაინც იტუუებდა გარეთ: სივრცე და ლაჟვარდი ცა მათ შეცდენას ცდილობდა...

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭიტ, ჭიტ, წიუ, წიუ...

ეს ბელურაა. ის თავის დღეში არ მჯდარა გალიაში; არც იმის მამა-ბაბა ეოფილა როდისმე დატყვევებული. ის თავისუფალია!

ბელურა ფანჯარას-წინ დაჯდა და განცვიფრებით იხედებოდა გალიაში.

— ეს რას ნიშნავს? ორი ჩიტი გალიაში? ორივე ტყ-თილშობილები, ეგეთლები...

— როგორ მოძუძულან, საცოდავათ მიჰკვრიან ერთმანეთს. საჭმელიც ჰქონიათ. აბა ერთი შეხედო, რას მიირთმევენ ეს დატყვევებული ბატონები?

— წიუ, წიუ.

ისკუბა ბელურამ და დახტა გალიაზე.

— გამარჯობათ, თქვენო კეთილშობილებავ! რას აბუზულხართ? იადონებმა შეხედეს მაღლა. არაფერია, ეს ბელურაა, უბრალო ჩიტი.

— იჰ, იჰ.—განაგრძო ბელურამ—რა დიდკაცური საჭმელები გქონიათ!

დედალმა იადონმა შეხედა ბელურას და უთხრა:

— ჩვენ გამაძღარნი ვართ, ჩვენ მოგვწყინდა კიდეც ეგ საჭმელი, სჯობს თუ გინდა?

— მაგაზე-კი უკაცრავათ გახლავართ, დიდი მადლობელი ვარ—გაიცინა ბელურამ,—მთელი სახელმწიფო რომ მაჩუქოთ მაშინაც-კი არ შეგფერინდები თქვენ გალიაში. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიჯერო, თავისუფლათ გრძნობთ მანდ თქვენ თავს?.. ამ წინდა ჭაერს და ამ მთებს თავის დღეში არ გავცლი მაგ თქვენ მოსვენებაში.

— განა, ბედურაჯან, მართლა ეგრე კარგია ეოფნა იქ, მთებში? ჭკითხა დედალმა.

— კარგია? —სიხარულით ჩაიკვნესა ბედურამ—კარგი კიდევ ცოტაა, ქალბატონო,—საუცხოვოა, განსაშტერებელია იქაურობა... არა, ერთი შეხედე და... სიგრცეში, ცის ლაჟვარდში შავთ მოჩანან ტოროლები—ხომ ხედავთ, როგორ უსტვენენ, როგორ მღერიან და დასრიალებენ?.. განა ვერ გრძნობთ ეგეოლთა სუნნელობას, ზეფირათ წოდებულს? ახლა მზე? როგორ ბრწყინავს და ათბობს არეშარეს, ეველგან სიცოცხლეს აღვიძებს..

— უცებ რომ ზეფირი ქარიშხლათ გადიქცეს, მზე დაიმალოს და დაუშვას წვიმამ?..

— ო, ალბათ თქვენი დიდკაცური ნაზი ფრთებისა თუ გეშინიანთ? განა ცოტა ფუღუროებია ხეებში ან და გამოქაბულ კლდეებში ან კიდევ სხვა თავ-შესაფარებში? ან კიდევ ბუხრის თავები, ბუდეები? მერე რა თბილა იქ, რა მეუდროებაა, რა უშიშარი ადგილებია...

დედალმა შეიფრთხიალა და კარებს მიუახლოვდა. ბედურამ ამ დროს შეამჩნია, რომ კარები ღია იყო.

— ღმერთო! — შეჰკივირა იმან — გაგ ყებულხართ თუ რა დაგმართნიათ? კარები თურმე ღია ყოფილა, რაღას აბუ-

ზულსართ? წამოდიო, წამოდით; გავფრინდეთ ერთათ ამ-
ხანაგებთან. იქ, ველშ., ნაკადულების ნაპირებთან, მწვა-
ნეთ შემოსილ ჩრდილებში; ვიბანაოთ, ვიმზიარულოთ,
წმინდა აჭერი ვისუნთქოთ...

— ჩანს, მართლა კარგია იქ ეოფნა, ველში, არა? კი-
დევ შეეკითხა დედალი.

— ჭო, მეთქი, ქალბატონო. დავიჯერო, არ გინდათ,
აი თუნდ მწვანე ხეზე შეჯდომა? არ გინდათ, ჩრდილში
იყვეთ, შეიბერტყოთ ფრთები, შეფრინდეთ ზეგით, ისრია-
ლოთ ცაში, მერე ჩამოეშვათ ეანისკენ, დაიმალოთ თავ-
თავებ-შეა, აჭკენკოთ ბურის მარცვლები, გამდეთ და, რო-
ცა დაიდალებით, გაეგლოთ აქაფებულ ჩანჩქერის წინწკლებ-
ში საბანაოთ, მერე თავი შეაფაროთ ეგაკილებს და და-
სტკბეთ მათი სუნნელობით?

მამალი იადონი აბუზულიეო თავის კუთხეში და ბე-
დურას პოეტურ აღტაცებაზე დაცინვეთ შენიშნა:

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ... ამ დროს რომ მერა და-
გეცვეს თავს, ხომ ძიშისაგან სულ დაკეკარგა ეონება; იწ-
ყებ აქეთ-იქით ფრთხიალს და თავ-შესაფარ ალაგსაც-კი
ვერ იშოვი...

— გეტეობათ, ხანკრძლივ გალიაში ყადომისაგან, მზედ-
ველობაც დაგიკარგავთ! — შეჭვეირა ბედურამ — განა თვალე-
ბი არა გაქვეთ, რომ შორიდანვე შეამჩნიოთ მტერი? ქუნქ-
ლა ხომ არ არის, რომ მნელი იეოს იმისი დანახვა?..
უსარ-მასარია... დაინახო თუ არა, გაშალე ფრთები და
ერიჭა, გაჭექსლე მთეებში, განა ცოტა თავ-შესაფარია? ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი წუთიც და განსაცდელმა გაიარა. მერე ისევ გამოჩნდები, ბევრსაც იცინებ, იწუებ ისევ სიმღერას, ისევ იმსიარულებ.

— ეგ ეველაფერი კარგი, ისევ დაიწეო ჯიუტმა მამალმა,—მაგრამ, შენ, უტვინოთა მოდგმისავ, ივიწუებ, რომ ვანებში ბურს მომკიან და წაიღებენ და მთელი დღეები უნდა იხეტიალო საჯმლის საშოვნელათ, სან უნდა წუალის წეურვილით მოკვდე და წუალი-კი ვერ იშოვო?

— ოჰო, თქვენო კეთილშობილებავ — ჩაიცინა ბედურამ — ხომ არა ვნებავთ, რომ ამისთანა დროს, ჩვენი მოდგმა გავფრინდეთ ბაღებისკენ და მოკართვათ ბურის მარცვლები და წუაროებიდან ცივი წუალი?

ამ დროს დედალმა, რომელიც გაფაციცებით ისმენდა ლაპარაკს, ისკუპა გალიიდან და მოუჯდა გვერდით ბედურას, როგორ უცემდა გული, როგორ ცასცასებდა!..

— უი, უი. — შეჰვეირა შეშინებულმა მამალმა გალიაში. ერთს წუთს ბედურა დაიბნა, სმის ამოღებაც ვერ მოახერხა.

— შე უბედურო! —უთხრა მამალმა თავის მეგობარს... რა ჰქენი? შემოდი ისევ ჩქარა, სანამ კატას არ მოუსწერია... დედალი მოიბეზა, შიშით მიიხედ-მოიხედა და მიეკრა ბედურას,

— ნუ გეშინიან, ქალბატონო, გაიცინა ბედურამ — კატა აქ ვერ მოგვწვდება; თუნდაც მოგვწვდეს, რას გვიზამს?

— როგორ თუ რას?

— არაფერს. საკმაოა ცოტა სიფრთხილე და წინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვდულება. დაინახე კატა — შეფრინდი მაღლა, მორჩა და გათავდა. მსტცებს არ შეუძლია მაღლა სტომა; ისინი მხოლოთ მიწაზე დაცოცავენ... ჩვენ-კი მიწასთან რა საქმე გვაქვს.

— მართალიც არის, — სთქვა დედალმა, მერე რა კარგია, რა თავისუფლებაა. საითაც-კი მოინდომებ, გაფრინდები უშიშრათ, მოდი აქ, ჩემ მეგობარო, გამოდი ჩემთან.

— დმერთმა დამიფაროს!.. წარმოთქვა მამალმა — ჩემი მოკლე ჭკუის მეგობარო, შენც ბევრს ინანებ, სისულელე ჩავიდინეო, მაგრამ მრიელ გვიან იქნება.

— წიუ, წიუ — უფალო მშიშარავ — გადიხარხარა ბედურამ: გისურვებთ ბედნიერათ ბრძანდებოდეთ თქვენი დიდი ჭკუით გალიაში, ჩვენ-კი, ჩვენი მოკლე ჭკუით, გავფრინდებით თავისუფალ ცხოვრებისკენ. ხომ ასეა, ქალბატონო? გავფრინდეთ?

— გავფრინდეთ!...

მართლაც გაფრინდენ.

— ჭიტ, ჭიტ — შემოსძახა გზიდან ერთხელ კიდევ ბედურამ, — წამოდი, წამოდი ჩვენთან.

მაგრამ მამალი აბუზულიეო გალიაში, უყურებდა იმათ და შიშისაგან კანკალებდა. ბატარა ხანი კიდევ და უკანასკნელათ შემოესმა „წიუ, წიუ" და ორივე ჩიტი გაქრენ ლაჟვარდ ცის სივრცეში.

დარჩა მამალი გალიის კუთხეში.

ქაიხ. ყ — ნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართოგი.

ხელმწიფე გუთნის დედა. ჩინეთში დიდი ხნის დროიდან შემოდებულია ჩვეულებათ, რომ, როდესაც ჰირველათ გუთანს გაიტანენ მინდორში, თვით მეფეობელი ხელმწიფე უკან გაჰყვება, იმის ნიშნათ, რომ ჩვენა-თვისა სამეფოსა ხელობაა. აი, როგორ აგვიწერენ შემდეგ ამბავს, რომელიც ერთხელ აპრილში მოხდა: დილა ადრიანათ ხელმწიფე, თავის ბრწყინვალე კარის-კაცებით გამობძანდა სასახლიდან. ქუჩები სადღესასწაულოთ შეენიერათ იყო მორთული. ხელმწიფე ჯერ შედგა საღოცავთან ჯა მსხვერპლი შესწირა მეურნეობის მფარველს, მერე ერთ-ერთ სასახლეში ისაუზმეს და გასწიეს მინდვრისაკენ. მინდორი, რომელზედაც გუთანი უნდა გაეტარებინა ხელმწიფეს, შემორაგვული იყო და გარშემო სულ ბაირახებით იყო მორთული. ოთხივე კუთხეში კარგები დაეცათ, რომლებიც ჰურის თესლით იყო სავსე. ირგვლივ შემორაგვულთან იდგენ მოხუცებული, გაჭაღარავებული მეურნეები, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში ეჭირათ სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღები. ხელმწიფეს ერთ ხელში ეჭირა ბოლტი და მეორეთი გუთანს რიგზე აჭარებდა. გუთანში შებმულ ხარს ეგითელიფერის ჩული ეხურა; აქეთ-იქით გუთანს მიუძღოდენ კარის კაცნი. ხელმწიფის მენი გუთანს უკან მისდევდენ, რომლებიც თან თესავდენ ბურს და თან მიწას ფარცხავდენ. როცა ხელმწიფე ჩამოეცალა, მერე მისი სამნი მენი უძღოდენ თითო-თითოთ გუთანს, ასევე მოიქცენ მისი კარის-კაცნიც და როდესაც ეველაფერი გაათავეს ხელმწიფე, მმიმე შრომისაგან დადალული, დაბრუნდა სასახლეში დასასვენებლათ.

(გ ე რ მ ა ნ უ ლ ი დ ა ნ)

ერთხელ ძუნჯი გზის ნაპირას იჯდა და მოწუალებას თხოულობდა. ერთმა კაცმა, რომელმაც მახლობლივ ჩაუარა მუნჯს, ჰკითხა მას: „რას აკეთებ აქ შენ?—ახ! უპასუხა მუნჯმა, მე ძუნჯი ვარ, ლაპარაკი არ შეიძლიანო“.

* * *

ერთმა მასხარამ შემდეგი ანდერძი დაწერა: მამული-დედული არა მაქვს, ვალები-კი ბლომათ; მთელი ჩემი ავლადიდება ღარიბთათვის მიანდერძებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲙᲠᲝᲡᲢᲘᲮᲔᲑᲘ.

(წარმოადგენილი მ. ლელაშვილისაგან).

როგორც ეარსკვლავნი ცაზედა ჰკრთიან, ზშირათ ცვიეიან,
დეზათ მიდიან ან ჰქრებიან ცისა უფსკრულში,
ერთბაშათ ენახავთ ცაზე კვალად განახლდებიან,
რითაც სიამეს მიმოჰფენენ ხალხისა გულში.
ისე მგოსანი, დიდებული მოსწყდა ქვეყანას!
სული დალია ხალხის ძმობა და სიყვარულში.
თვით ბრწყინვალენი მისი აზრნიც არ გაჰქრებიან,
ათი ათასჯერ განახლებას ეჰპოვებთ მის თქმულში.
ეხედავთ ზეცაში მის აჩრდილსა ნათლით მოსილსა,
იქ ცის მნათობნი იპოვიან ბინას მის სულში.

იქ სად სიკეთეს ქვეყნისათვისა,
უხე მოწყალეზით ფრთა გაუშლია
და სურვებია კაცობრიობას
ასიმოვნოს რაც შეუძლია.
იქ გაჩენილა, მყისვე ბოროტი,
სულის მშვიდობა მას დაუშლია!
კაცობრიობაც აცრემლებულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი საქმე, რომ გამოსცლია...
რამ აიძულა ნეტა წყეული,
იმ ღალატისკენ რამ გადასძლია?
ოჰ, საზიზღარი!... ვერცხლმა!... მაგრამ ვერცხლს
ტალაბიანს რა არ შეუძლია?!
ერი იგონებს მას წყეულ-აკრულეით,
ლოცვას ჯერ მისთვის არ მოუცლია!
იგი ვერ მოკვდა, თუმც სურდა ცოდვილს.
ამ ტანჯვისთვისაც ვერ გაუძლია!..

რებუსი

(წარმოდგენილი ახალციხის ქალაქის სკოლის მოწაფე ბ. ბეთანიშვილისაგან).

ამ
ე
თუთუნის
მოსაწევი
ს,
,
,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ Ი, ყ

ს, ე

, ვ

, ვ მირგვალი ვ ალი, ყ

ჰ ურის სიმკვალე,



, ს, ო

ა ხ ს ნ ა

№ II გამოცანებისა.

გამოცანები: 1) რწყილი, 2) მელია, 3) ნახშირი, 4) ჩიბუხი.

ანაგრამა: გვეული—ეელი.

შარადა: სალა—ხი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-ყერეთელისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთორმეტე

გამოდის 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველობში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში** — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*